# პროექტი „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისთვის“



## მოწყვლად მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისათვის სათემო მხარდაჭერის/სოციალური მომსახურებების მიწოდების არსებული პრაქტიკის შესწავლა ლაგოდეხის თემში

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის

2017 წელი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GASW
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

პროექტი ხორციელდება პროგრამის "თანამშრომლობა ოჯახის გაძლიერებისთვის საქართველოს რეგიონებში" ფარგლებში. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (SWIC)" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია" (GASW) ოთხ პარტნიორთან თანამშრომლობით, რომლებიცაა „ჰილფსვერკ ავსტრია" (HWA), "სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია" (AASW), "აზერბაიჯანის სოციალური მუშაობის საზოგადოებრივი კავშირი" (ASWPU) და "მოლდოვის რესპუბლიკის ექთნების ასოციაცია" (NARM).

**კვლევის გუნდი:**

**კვლევის კონსულტანტი/ანგარიშის ავტორი:**
ნინო დემეტრაშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი

**მკვლევარი/საველე მუშაკი:**
თეონა გოცირიძე, სოციალური მუშაობის დოქტორანტი
ნინო ქობალია, განათლების პოლიტიკის მაგისტრი
ნათია ასანიძე, სოციალური მუშაობის ბაკალავრი

**პროექტის ხელმძღვანელი:**
თამარ ივანიაძე, სოციალური მუშაობის მაგისტრი

*წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის" (ISC) და დოკუმენტის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.*

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

HILFSWERK AUSTRIA INTERNATIONAL

## შინაარსი


1.მოკლე შეჯამება ..... 4

2. კვლევის წინაპირობა ..... 5

3. კვლევის მეთოდოლოგია ..... 7

4. კვლევის შედეგები ..... 10

4.1 ბავშვთა სიღარიბე ..... 10

4.1.1 ბავშვთა სიღარიბის სიტუაციური მიმოხილვა ..... 10

4.1.2 სიღარიბის გამომწვევი მიზეზები ..... 14

4.2 ბავშვთა შრომა ..... 16

4.2.1 ბავშვთა შრომის სიტუაციური მიმოხილვა ..... 16

4.2.2 ბავშვა შრომის გამომწვევი მიზეზები ..... 19

4.3 ბავშვთა მიმართ ძალადობა ..... 20

4.3.1 ბავშვა მიმართ ფიზიკური ძალადობა ..... 20

4.3.2 ბავშვა მიმართ ემოციური ძალადობა ..... 23

4.3.3 ბავშვის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა ..... 24

4.3.4 ადრეული ქორწინების პრაქტიკა ..... 25

4.3.5 თანატოლთა შორის ძალადობა ..... 26

4.3.6 ბავშვა მიმართ ძალადობის  გამომწვევი მიზეზები ..... 28

4.4 უმცირესობათა ჯგუფები და მათი ინტეგრაცია ..... 30

4.4.1 ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაცია ..... 30

4.4.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ..... 31

4.4.3 განათლებაზე ხელმისაწვდომობა ..... 33

5. სოციალური პროგრამები და მათი ეფექტიანობა ბავშთა დაცვის პრობლემებზე საპასუხოდ ..... 35

5.1. ოჯახების და ბავშვების მხარდაჭერის არსებული სქემები ცენტრალურ დონეზე ..... 35

5.2. ოჯახების და ბავშვების მხარდაჭერის არსებული სქემები ადგილობრივი თემის დონეზე ..... 37

5.3. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების იმპლიმენტაცია თემის დონეზე ..... 40

5.4 თანამშრომლობის პრაქტიკა უწყებებს შორის ადგილობრივი თემის დონეზე ..... 43

6. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ..... 48

7. ბიბლიოგრაფია ..... 54

# 1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე კვლევის ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა პროექტის „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ ახორციელებს, ევროკავშირის მხარდაჭერითა და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან პარტნიორობით, პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ მეზობლობის ქვეყნებში“ ფარგლებში გაცემული ქვე-გრანტის დახმარებით. პროექტის მიზანს წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვისა და ოჯახის კეთილდღეობის საკითხებზე მგრძნობელობის გაზრდა და თემის შესაძლებლობების განვითარება ამ მიმართულებით. იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მომსახურებების და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერებაზე. პროექტს აქვს სამი ძირითადი ამოცანა:

- მოწყვლად მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისათვის სათემო მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურებების მიწოდების არსებული პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი;
- სათემო ქსელი ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისათვის დაფუძნება და განვითარება, ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით მუშაობის გასაძლიერებლად;
- პოზიტიური მშობლობისა და ბავშვის სოციალური კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ პროგრამის შექმნა და პილოტირება.

პროექტის პირველი ამოცანის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად, განხორციელებულ იქნა თვისობრივი და სამაგიდე კვლევა, რომლის მიზანი იყო იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც დგანან მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვები და ოჯახები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, კვლევისათვის საინტერესოა ადგილობრივი თვითმმართველობის და თემში მომუშავე ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურებების ანალიზი, საჭიროებებთან მათი რელევანტურობის განსაზღვრა და ეფექტიანობის შეფასება.

კვლევა განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში და მოიცვა შემდეგი მუნიციპალური ერთეულები (ლაგოდეხი, აფენი, ჰერეთისკარი, ლელიანი, მშვიდობიანი, კაბალი, გიორგეთი, საქობო და ჭიაური). კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე ბავშვებმა და მათი ოჯახის წევრებმა. სულ პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოკითხულ იქნა 46 მონაწილე. განხორციელდა 4 ფოკუს ჯგუფი, სოციალური მომსახურების სფეროში დასაქმებულ პირთა ჩართულობით. საერთო ჯამში კვლევის განხორციელებაში მონაწილეობა 89 რესპონდენტმა მიიღო. კვლევა მიმდინარეოდა 2017 წლის ივლისი-სექტემბრის თვეში. კერძოდ, საველე სამუშაოები განხორციელებულ იქნა ივლისი-აგვისტოს პერიოდში, ხოლო ანალიზის მომზადება შესაძლებელი გახდა სექტემბერში. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა კვლევისათვის რელევანტური სტატისტიკური და პროგრამული ინფორმაცია იმ სამთავრობო უწყებებიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის პოლიტიკის განხორციელებაში.

# 2. კვლევის წინაპირობა

გაეროს ბავშვთა ფონდის განმარტებით[1], სოციალური დაცვის სისტემები შექმნილია იმისათვის, რომ უპასუხოს ადამიანთა წინაშე მათი სიცოცხლის განმავლობაში მდგარ გამოწვევებს, როგორც ბავშვობის, ისე ზრდასრულობისა და სიბერის პერიოდის ჩათვლით. სოციალური დაცვის სისტემები ძირითად შემთხვევაში სწორედ სიცოცხლის ციკლის განმავლობაში დაუცველობის ყველაზე კრიტიკული მიზეზების გადაჭრაზეა მიმართული. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემა განვითარების ეტაპზე იმყოფება, თუმცა ბავშვების კეთილდღეებისკენ მიმართული მომსახურებები და ბენეფიტები კვლავ ლიმიტირებული და შეზღუდულია. საქართველოს სახალხო დამცველი 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სხვა საკითხების პარალელურად, ყურადღებას ამახვილევს ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალ მაჩვენებელსა და ცხოვრების არასათანადო პირობების არსებობაზე ქვეყნის მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა შორის სიღარიბის მაჩვენებელი 2009-დან 2013 წლამდე 49%-იდან 28%-მდე შემცირდა, საგულისხმოა, რომ ეს პროგრესი არ აისახა ოჯახების მდგომარეობაზე. საქართველოში ბავშვების უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახებში, რომელთა შემოსავალიც ძალიან არასაიმედო, ხოლო საცხოვრებელი პირობები - ბავშვის განვითარებისთვის არახელსაყრელია[2]. არსებული სიღარიბის ფონზე საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარება, რომელთა გარეშეც რეფორმისთვის რთულია შეინარჩუნოს მიღწეული შედეგები და კვლავ აჩვენოს პროგრესი. განსაკუთრებით, ხაზგასასმელია ის გარემოება რომ დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ცალსახად ცენტრალიზებული ხასიათისაა[3] და ნაკლებად იცნობს სათემო სოციალური მუშაობის პრაქტიკას, რაც აისახება კიდეც რეგიონების დონეზე არსებული ოჯახის მხარდაჭერის სუსტ მექანიზმებზე.

ამასთანავე, ბავშვთა კეთილდღეობის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების გამიჯვნასა და შემცირებას. დეინსტიტუციონალიზაციაზე ორიენტირებულმა რეფორმამ ვერ შეძლო ზრუნვის ისეთი ალტერნატიული სისტემის განვითარება, რომელიც სრულად უპასუხებდა ბავშვის საჭიროებებს, ოჯახების მთლიანობის შენარჩუნებასა და ადეკვატურ ინტერვენციას. რეფორმის გამოწვევათა შორისაა ისეთი საკითხები, როგორიცაა შემთხვევათა პროაქტიული გამოვლენა და რეაგირება, ოჯახებს, სოციალურ სამსახურსა და განათლების სისტემას შორის დიალოგის გაუმართაობა, მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა და მათი ეფექტიანობა[4].

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების შესახებ მეოთხე პერიოდულ ალტერნატიულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საქართველოს

[1]ბავშვთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა საქართველოში, UNICEF, 2015
[2]ბავშვთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა საქართველოში, UNICEF, 2015
[3]ბავშვთა კეთილდღეების რეფორმა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, 2014
[4] ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში, სალომე ნამიჭეიშვილი, 2015

მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მცხოვრები ბავშვები განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებიან და მათი სახელმწიფო ზრუნვის პროგრამებში გადაყვანის საფუძველი ძირითადად სიღარიბეა, რაც გამოიხატება მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობასა და ცხოვრების არასათანადო პირობებში. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველი გასცემს რეკომენდაციას  განვითარდეს სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებები ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დასახმარებლად, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის პროცესში გაძლიერდეს სოციალური მუშაკის ჩართვა და ასევე, დაინერგოს მომსახურებები ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვებისათვის.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მსოფლიო ბანკის მიერ 2009 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, კახეთი სახელდება ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და ღარიბ რეგიონად საქართველოში. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის იანვრის თვის სტატისტიკის თანახმად, ლაგოდეხის რაიონში 5135 ბავშვი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა, რაც რეგიონში მოსახლეობასთან თანაფარდობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სიღარიბე, კი თავისმხრივ, წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის გავრცელებულ რისკ-ფაქტორს.  შესაბამისად, გასაკვირი არ არის რომ დედაქალაქის შემდეგ სწორედ კახეთში გვაქვს ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ამავე რეგიონში (კახეთი) ფიქსირდება ოჯახში ძალადობის პრობლემაც ყველაზე მწვავედ[5].

აღსანიშანვია, რომ ჩვენს ქვეყნაში არ მოიპოვება კვლევები, რომელიც შეისწავლიდა ადგილობრივ დონეზე ბავშვებსა და ოჯახებზე მიმართული  სოციალური მომსახურებისა და დახმარებების მიწოდების არსებულ პრაქტიკას სიღრმისეულად. ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მიმართულებით განხორციელებული კვლევები, ძირითადად ასახავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ სურათს და ნაკლებად იძლევა რეგიონალური მდგომარეობის წარმოჩენის შესაძლებლობასა და ამასთანავე არ ფოკუსირდება უშუალოდ სოციალური მომსახურების ანალიზზე.  შესაბამისად, უცნობია ის თუ რამდენად ეფექტიანია ადგილობრივი თემის ძალისხმევა მათი მოწყვლადი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით; რამდენად ხდება არსებული საჭიროებების გათვალისწინება პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისათვის.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმდინარეობის ხელშეწყობისა და პროგრესირებისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით დისკუსიების  წახალისება და  ცვლილებების ინიცირება. აღნიშნულის საფუძველი კი აუცილებელია იყოს  კვლევებისა და სიტუციური ანალიზის განხორციელების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები.

[5]ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი, 2013

# 3. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს მოახდინოს ლაგოდეხის თემში მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. აღნიშნული კი გვაძლევს საშუალებას თემის დონეზე არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების სიღრმისეულად შესწავლის, გამოწვევების გამოკვეთისა და განვითარების კუთხით ცვლილებების ინიცირების. გამომდინარე კვლევის მიზნებიდან, ძირითად საკვლევ საკითხებად ჩამოყალიბდა:




**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევა განხორციელებულ იქნა კვლევის თვისობრივი მეთოდების გამოყენებით 2 ეტაპად. თავდაპირველად მოხდა პირისპირ ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მეთოდით ინფორმაციის შეგროვება, როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან, როგორიცაა ლაგოდეხის თემში მცხოვრები ბავშვი და მისი ოჯახის წევრები, ისე მომსახურების მიმწოდებელი სამთავრობო და არასამთვრობო ორგანზიაციების წარმომადგენლებისაგან. კვლევის მეორე ეტაპზე, მომზადდა **სამაგიდე კვლევა**, სადაც ასახულ იქნა ბავშვთა დაცვის სისტემაში მომუშავე სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი სტატისტიკური და პროგრამული ინფორმაცია (საქამიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სამსახურის დებულებები და სხვა). აღნიშნული მეთოდები იძლევა მოპოვებული ინფორმაციის შევსებისა და განმტკიცების შესაძლებლობას.



**გამოყენებული ტექნიკები:** სიღრმისეული/პირისპირ ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისათვის შემუშავდა ნახევრადსტრუქტურიზებული სადისკუსიო გეგმები და კვლევის განხორციელების საწყის ეტაპზე თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის მომზადდა გაიდლაინები. **ინტერვიუს ჩაწერა** განხორციელდა შესაბამისი აუდიო მოწყობილობით, რამაც გაადვილა მონაცემების დამუშავების (ტრანსკრიფტების მომზადება) პროცესი.

**კვლევის განხორციელების არეალი:** კვლევა განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში და მოიცვა შემდეგი მუნიციპალური ერთეულები: ლაგოდეხი, აფენი, ჰერეთისკარი, ლელიანი, მშვიდობიანი, კაბალი, გიორგეთი, საქობო და ჭიაური. საველე მუშაობისას შესაძლებელი გახდა თითოეული ლოკაციიდან კვლევაში ბავშვისა და მშობლის მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობისა და ეკომიგრანტების. უმეტესად შერჩევა განხორციელდა იმ ოჯახებს შორის, რომლებიც სოციალური მომსახურებით სარგებლობენ. სულ მონაწილეობა მიიღო 89 მონაწილემ, რომელთა შორის გარდა ბავშვებისა და მათი მშობლებისა ბავშვთა დაცვის კუთხით მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლებიც არიან.

| **განხორციელებული საველე სამუშაოები:** | | | |
|---|---|---|---|
| **20 პირისპირ ინტერვიუ** ბავშვებთან | **20 პირისპირ ინტერვიუ** მშობლებთან | **5 სიღრმისეული ინტერვიუ:** სოციალურ მუშაკები, ოჯახის ექიმი, მცირე საოჯახოს ტიპის სახლის აღმზრდელი | **4 ფოკუს ჯგუფი (44 მონაწილე):** ადგილობრივი თვითმმართველობა, სკოლები, ბაღები, არასამთავრობო ორგანიზაციები |

**კვლევის ეთიკური პრინციპები:** კვლევა ეფუძნებოდა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა კვლევის პროცესში რესპონდენტთა ნებაყოფლობითი ჩართულობა, ნდობის მოპოვება და მიღებული მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. აღნიშნული პრინციპების დაცვის მიზნით, თითოეული მონაწილე წინასწარ იქნა ინფორმირებული საკვლევი საკითხისა და მონაწილეობის ნებაყოფლობითობის შესახებ. მათ განესაზღვრათ კონფიდენციალობის საკითხი და მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიღებული მონაცემები მხოლოდ განზოგადებული სახით იქნებოდა გამოყენებული, რის საფუძველზეც მოპოვებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა.

**თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვები:** კვლევის გამოყენებული მეთოდოლოგია გამორიცხავს რესპონდენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების დათვლას და მათ წარმოდგენას რაოდენობრივი ან პროცენტული მონაცემების სახით. შესაბამისად, კვლევას არ აქვს სტატისიტიკური სახის საანდოობა და იგი არ იძლევა მონაცემების განზოგადების შესაძლებლობას მთელს პოპულაციაზე.

**კვლევის გამოწვევები:** კვლევის გამოწვევად იკვეთება მონაწილეობის დაბალი მოტივაცია ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების მხრიდან. მიუხედავად ამისა, სავალე სამუშაობის განხორციელებისას შესაძლებელი გახდა თავდაპირველად განსაზღვრული რაოდენობის ჩართვა კვლევაში. ასევე, საგულისხმოა მომსახურებების მიმწოდებელთა გულწრფელობა/ობიექტურობა, რადგან ისინი თავად წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს, რადგან კვლევის ამოცანებს შორის მათ მიერ მიწოდებული მომსახურებების შეფასებაც შედის. გამოკვეთილი გამოწვევების დაძლევისა და ობიექტური მონაცემების წარმოჩენის მიზნით, მოპოვებულ იქნა დამატებითი მასალები, რომელთა ანალიზიც განხორციელდა სამაგიდე კვლევის ფარგლებში.

**მონაცემთა დამუშავება:** თვისებრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა შეგროვებული მასალის აღწერის, ახსნისა და სისტემატიზაციის გზით. ანალიზის ფარგლებში, მოხდა აქტუალური თემების გამოყოფა და რესპოდენტებისეული ინტერპრეტაციის სისტემატიზაცია, ამ მიზნით გაკეთდა თვისებრივი მონაცემების დახარისხება შესაბამის თემატურ კატეგორიებად. მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ტექნიკები:



# 4. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები წარმოდგენილია კვლევის ძირითადი ფოკუსისა და საკვლევი საკითხების შესაბამისად. იგი აერთიანებს ოთხ მიმართულებას: ბავშვთა სიღარიბე და ბავშვთა შრომა, ბავშვთა დაცვა ძალადობისაგან, უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები და მათი ინტეგრაცია. ამასთანავე, კვლევის შედეგები აერთიანებს სამაგიდე კვლევისას მოპოვებულ სტატისტიკურ და პროგრამულ ინფორმაციას, სოციალური მომსახურებების/პროგრამების ანალიზს, მათი მომსახურებების ეფექტიანობას ბავშვებისა და ოჯახების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ და ადგილობრივ დონეზე ბავშვთა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლობის პრაქტიკას.

წინამდებარე კვლევა იძლევა საშუალებას, როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისკენ მიმართული საკითხების გაშუქების, ისე თემში არსებული ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური სურათის წარმოჩენის.

კვლევის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე აქტუალური თემების განხილვისას, ყურადღება გამახვილდა მრავალ ისეთ პრობლემაზე, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს თემის კეთილდღეობის ხარისხის ამაღლებას და პოზიტიური გავლენა ექნებოდა ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საყურადღებოა ისიც, რომ გამოკვეთილი სირთულეები საკმაოდ მრავალფეროვანი, გავრცელებული და მასშტაბურია. მათზე საუბრობენ, როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თავად კვლევის მონაწილე ბავშვები და ოჯახები.

## 4.1 ბავშვთა სიღარიბე

### 4.1.1 ბავშვთა სიღარიბის სიტუაციური მიმოხილვა

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად კვლევის მონაწილე ყველა მხარის მიერ დასახელებულ იქნა თემში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საარსებო შემწეობას იღებს 8,164 პირი[6], რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს შეადგენს. სიღარიბეში მცხოვრებ პირთა შორის ბუნებივად ხვდებიან ბავშვებიც, რომელთა ცხოვრების ხარისხზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახში და რაიონში არსებული ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. 2017 წლის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის 2,958 მიმღები ბავშვია დარეგისტრირებული[7]. გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით მიმართვა 21-მა ბავშვიანმა ოჯახმა განახორციელა, რომელთაგან ამ ეტაპზე მხოლოდ 6 ოჯახის დაკმაყოფილება (22 ბავშვი) გახდა შესაძლებელი. ოჯახების ეკონომიკურ

[6] 2017 წლის სექტემბრის მონაცემი
[7] სოციალური მომსახურების სააგენტო

მდგომარეობას დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები ამძიმებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ სისტემაში „Worknet.gov.ge" 753 დასაქმების მსურველი პირის მონაცემია განთავსებული, თუმცა დასაქმების შემთხვევა არ ფიქსირდება.

თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ კვლევის მონაწილე 20 ოჯახიდან ყველას აქვს სახელმწიფოსაგან სულ ცოტა ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღების გამოცდილება. 16 ოჯახი კვლევის მომენტისათვის ჩართული იყო სოციალური დახმარების პროგრამაში (67 ბავშვი) 2 ოჯახს დანიშნული ჰქონდა მარჩენალდაკარგულის პენსია. დახმარების მიმღებ ოჯახში ერთიანდებიან რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული ოჯახებიც (3 ოჯახი, 10 ბავშვი). მონაწილე მშობლებიდან მხოლოდ 2-ია დასაქმებული სტაბილურ სამსახურში (1 ორგანიზაციაშია დიასახლისი, მეორე საჯარო სამსახურშია დასაქმებული), 1 ოჯახს საზღვარგარეთ მყოფი შვილები ეხმარებოდნენ ფინანსურად, ხოლო 1 მშობელი ყოველდღიურად დაქირავებულ მუშად მუშაობს. გამოკითხული ოჯახებიდან 15-ს ჰყავს 3 და მეტი შვილი, ოჯახებში ბავშვების საშუალო რაოდენობა 4-ს შეადგენს.

„ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას და დამოკიდებულია სახელმწიფო დახმარებაზე".

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

მონაწილე ოჯახთა უმრავლესობას, აღმოჩნდა რომ აქვს პატარა ზომის სამეურნეო ნაკვეთი, რომელზეც მოჰყავს ძირითადად ერთწლოვანი კულტურები (ბადრიჯანი, პომიდორი, ლობიო, კარტოფილი და სხვა), რაც თავისთავად, მდგრად და შემოსავლიან მეურნეობად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბოსტნეულის მოყვანა დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს, მიღებული მოსავალი ოჯახის საჭიროებებსაც ვერ წვდება. შესაბამისად, სახელმწიფოსგან მიღებული ბენეფიტები, მოყვანილი ბოსტნეული და სეზონურად დღიურ მუშად მუშაობისას გამომუშავებული თანხა ოჯახების არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ამ ოჯახებში მცხოვრები ოთხმოცამდე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა და სახელმწიფოს იმედად ცხოვრობს. ეს კი განათლებისა და განვითარებისთვის მნიშნელოვანი პირობების შესაძლო დანაკლისზე მიუთითებს. ოჯახების სიღარიბე და დაბალი შემოსავლები განსაკუთრებით მძიმედ აისახება წინასასკოლო სამზადისსა და ბავშვებისათვის სეზონური ტანსაცმლის შეძენაზეც.

„გვყავს ღარიბი ოჯახები და მოვიძიებთ ხოლმე მეორად ტანსაცმელს. მერე ვატყობინებთ გაჭირვებულ ოჯახებს და სიამოვნებით მიაქვთ. იქ ფეხსაცმელიც არის და ტანსაცმელიც. ეს ზოგი ოჯახისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია".

*სოციალური მუშაკი*

ზოგად მდგომარეობას ემატება ისიც, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ოჯახებს ეკონომიკური პრობლემების გამო, აქვთ ფერმაში ცხოვრებისა  და მუშაობის გამოცდილება, რაც კიდევ უფრო ართულებს ბავშვის ხელმისაწვდომობას განათლებასა და სხვა მომსახურებებზე.

„ფერმაში ვმუშაობდით და ვცხოვრობდით. როგორც გარეთ წვიმდა ისე შიგნით. ბავშვები არ დადიოდნენ სკოლაში, ფერმიდან სად ივლიდნენ“?!

*მშობელი*

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვიანი ოჯახებისათვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენაც პრობლემურია, მათთვის განსაკუთრებულ სირთულეს შვილების ისეთ სოციალურ აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა წარმოადგენს, როგორიცაა მაგალითად სასკოლო ზეიმი (ვერ ქირაობენ / ყიდულობენ ფორმებს) ან ექსკურსია.

„არამგონია სხვა რაიონებში ასე ცხოვრობდნენ ბავშვები. კიტრი გავყიდეთ. ორი კაპიკი ავიღეთ ბავშვებისთვის, რომ ექსკურსიაზე გაგვეშვა და არ ჩამორჩენოდნენ კლასს“.

*მშობელი*

ბავშვების მხრიდანაც ყურადღება ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე გამახვილდა. მიუხედავად მათი დიდი სურვილისა ადგილზე ჰქონდეთ  სწავლის, გართობისა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის საშუალება, იაზრებენ  იმასაც რომ *„ოჯახში ამის საშუალება არ არის“* და ცდილობენ დასჯერდნენ იმას რაც აქვთ.

„ჩემი პრობლემაა, რომ სწავლა მინდა. ჩემს ოჯახს საშუალება არ აქვს და ვერ დამეხმარებიან. ზოგჯერ მიფიქრია მე თვითონ დავაგროვო ფული და წავიდე სასწავლებლად.“.

„რომ შემეძლოს ვინც გაჭირვებულია იმას დავეხმარებოდი რომ ესწავლათ. პასტით, რვეულით დავეხმარებოდი. აქ ზოგს ტანისამოსიც  არ აქვს“.

*ბავშვი, 12 წლის*

„ყოველთვის ერთი ოცნება მქონდა,  ველოსიპედი მქონოდა“.

*ბავშვი, 14 წლის*

ბავშვები ზოგ შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებენ საჭიროებების დაკმაყოფილების პასუხისმგებლობას, რაც შეიძლება მათი მხრიდან გაუაზრებელ დანაშაულებრივ ქცევაშიც კი გამოიხატოს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი არ გამოირჩევა კანონთან კონფლიქტში მყოფი

არასრულწლოვნების მაღალი რაოდენობით, (2017 წლის მდგომარეობით, პრობაციის ბიუროს სულ 3 არასრულწლოვანი განრიდებულის შემთხვევა აქვს), თუმცა სოციალური მუშაკის გამოცდილებით, ხშირია ეკონომიკური ტიპის დანაშუალი (ქურდობა, ძარცვა). პრობაციის ადგილობრივ ბიუროს ჰქონია არასრულწლოვანის შემთხვევა, რომელმაც სკოლის ბანკეტის ხარჯების დასაფარად სხვისი მესერი მოხსნა და ჯართში ჩააბარა, რის შედეგადაც მიეცა პასუხისგებაში.

დასაქმების ადგილების სიმწირის ფონზე, ადგილობრივი ოჯახებისათვის, შემოსავლის გაჩენის წყაროს მინდობით აღმზრდელად რეგისტრირება წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით, ლაგოდეხში მაღალია მინდობითი აღზრდის მაჩვენებელი (2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 31 ბავშვია განთავსებული). სავარაუდოა, რომ მიმღებ ოჯახთა მოტივს ფინანსური სარგებელის მიღებაც შეიძლება წარმოადგენდეს. კვლევის ერთ-ერთ მონაწილე მშობელს თავადაც ჰქონდა მინდობით აღმზრდელად დარეგისტრირების სურვილი, რის საფუძვლადაც სახელმწიფოს მიერ გაცემული ანაზღაურება (400 ლარი) დაასახელა. მეორეს მხრივ, სხვა მშობელს, ოჯახში არსებული სიღარიბის გამო მინდობით აღზრდაში ბავშვების გადაყვანა შესთავაზეს. სიღარიბე რომ ბავშვების ოჯახებიდან გამოყვანის საფუძველი შეიძლება გახდეს, მიუთითებს მცირე საოჯახო ტიპის სახლში მოხვედრის მიზეზებიც. აღნიშნული ადასტურებს, რომ სიღარიბის გამო ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვის ფორმაში გადაყვანა დღემდე რჩება ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მნიშვნელოვან ხარვეზად.

„მე შემომთავაზეს ბავშვები სხვა ოჯახში გაიზარდონო, მაგრამ უარი ვუთხარი. რაც მთავარია საჭმელი არ აკლიათ, მშივრები არ არიან. მირჩევნია ჩემს გვერდით იყვნენ“.

*მშობელი*

„ძირითადად აქ სოციალურად დაუცველები ხვდებიან... გვყავს მართლა ეკონომიკური გაჭირვების კუთხით ბავშვები. მშობლები ძალიან მზრუნველი არიან - მაგრამ არ აქვთ საშუალება“.

*მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი*

აღსანიშნავია, რომ სიღარიბე, როგორც წამყვანი სოციალური პრობლემა გამოკვეთილ იქნა ყველა მონაწილე მხარის მიერ. სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ პრობლემის აქტულობას. საერთო ჯამში ძირითადი აქცენტი გაკეთდა საბაზისო საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას, დასაქმების სირთულეებსა და სოციალური დახმარების მიმღებთა მაღალ მაჩვენებელზე. ეკონომიკური პრობლემების მნიშვნელოვნება იკვეთება მონაწილე მშობლებისა და ბავშვების კომენტარებიდანაც, სადაც წამყვანი ბავშვების ტანსაცმლით, სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა და დამატებით, სოციალიზაციის ხელშემწყობ აქტივობებში ჩართვის სირთულეებია, რაც ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობით არის განპირობებული.

## 4.1.2 სიღარიბის გამომწვევი მიზეზები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბავშვებისა და ოჯახების სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ანალიზისას, იკვეთება რომ ხშირ შემთხვევაში მიზეზები კომპლექსურია და განპირობებულია ძირითადად რაიონში არსებული დასაქმების დაბალი პოტენციალით. **დასაქმების ადგილების სიმწირე** ამძაფრებს თემში არსებულ მძიმე ეკომონიკურ მდგომარეობას. გამოიკვეთა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, დასაქმების შესაძლებლობები მხოლოდ მშენებლობასა და საჯარო დაწესებულებებშია (მუნიციპალიტეტი, სკოლა, ბაღი და სხვა), სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ლიმიტირებულია. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს სეზონურად, ყოველდღიურ მუშად დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. მუშის საქმიანობაში გარდა ვენახსა და ნაკვეთებში მუშაობისა, საქონლის (ძროხა, ცხვარი) მწყემსვა და ქალების შემთხვევაში დიასახლისად მუშაობა შედის.

**მატერიალური საშუალების ნაკლებობა** აისახება სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების დამუშავების ლიმიტირებულ შესაძლებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ლაგოდეხის რაიონი საკმაოდ პროდუქტიულია მოსავლიანობის კუთხით, ადგილობრივების ნაწილს არ აქვს საშუალება მოახდინოს თანხის ინვესტირება სოფლის მეურნეობასა და შემდეგომ მიღებული მოსავლის რეალიზებაში. სწორედ ამის გამო, მათ მიერ მოყვანილი ხილი და ბოსტნეული, ძირითადად პირადი მოხმარებისთვისაა საკმარისი.

> „მეურნეობა ცოტ-ცოტა მოგვყავს, ისიც მხოლოდ სახლისთვის. პატარა ადგილი გვაქვს“.
>
> *მშობელი*

> „სოფლის მეურნეობა გვაქვს, მაგრამ ისეთი შემოსავალი არაფერი, რომ რესურსები გამოვიყენოთ“.
>
> *მშობელი*

> „მეურნეობაში შემიძლია დასაქმება, მაგრამ ფინანსები მჭირდება რამე რომ მოვიყვანო“.
>
> *მშობელი*

**შემოსავლის განკარგვის დაბალი უნარ-ჩვევები** თუნდაც მცირე შემოსავლიანი ოჯახებისათვის განაპირობებს მათი ცხოვრების ხარისხს. როგორც კვლევის ფარგლებში იკვეთება, გამოწვევას წარმოადგენს ისიც რომ გარკვეულ შემთხვევებში ადგილობრივებს არ აქვთ შესაბამისი უნარი დაგეგმონ და მოიხმარონ ყოველთვიური შემოსავალი ადეკვატურად. კვლევის მონაწილე მასწავლებლებს მოჰყავთ მაგალითები იმისა, რომ ბანკის სესხითა და სოციალური დახმარებით მიღებული შემოსავლით, მშობლები ბავშვებისთვის ძვირადღირებულ ტელეფონს, ხოლო სახლისათვის მალფუჭებად პროდუქტებს ყიდულობენ. თავის მხრივ, მშობლები ამგვარ ქცევას აფასებენ, როგორც მცდელობას *„აუსრულონ ბავშვს სურვილი“.* შესაძლოა ეს ერთის მხრივ, განათლების დაბალი დონითა და მეორეს მხრივ, შესაბამისი უნარების ნაკლებობით აიხსნებოდეს. ამას ემატება ისიც, რომ მშობლების უნარების გაძლიერებაზე ნაკლებად თუ მუშაობს ვინმე. არ

არსებობს შესაბამისი მხარდამჭერი მომსახურებები, არ არის გამოკვეთილი სოციალური მუშაკი როლი ოჯახების გაძლიერების მიმართულებით და თაობები იზრდებიან სოციალური დახმარებით, რაც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ხარჯია.

„ხშირად ეს ოჯახები ისე ვაჭრობენ მაღაზიაში, აშკარაა არ იციან ბიუჯეტის განკარგვა. კარგი იქნება სახელმწიფომ ასწავლოს ბიუჯეტის სწორად განაწილება“.

„ოჯახებში არ იციან დაგეგმვა, ბიუჯეტის განკარგვა და ეგაა პრობლემა“.

*მასწავლებელი*

**არსებული სოციალური დახმარების პოლიტიკა**, რომელიც არა თუ ხელს არ უწყობს ოჯახების კეთილდღეობას, არამედ აძლიერებს მათ დამოკიდებულებას სოციალურ დახმარებაზე. ეკონომიკური პრობლემების პარალელურად, ოჯახებს აქვთ იმის შიში, რომ სტაბილურ სამსახურში დასაქმება და/ან რაიმე ნივთის სახლისათვის შეძენა ავტომატურად ტოვებთ სოციალური დახმარების მიმღებთა სიის მიღმა.

„შიშით ვერაფერს ვერ იძენ, რადგან მოვლენ და დაინახავენ შენაძენს და დახმარებას შეგიწყვეტენ. ხშირია ასეთი შემთხვევები“.

*მშობელი*

„სოციალურად დაუცველია ადამიანი, სიდუხჭირეში ცხოვრობს, სოციალური დახმარების იმედად თვიდან თვემდე. შესთავაზეს სამსახური და უარი თქვა იმის გამო, რომ დახმარება მოეხსნება“.

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

**მინდობითი აღზრდის არსებული მაჩვენებელი და მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსების მიზეზები** მიუთითებს, რომ ოჯახებს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევთ საშუალებას თავად განახორციელონ ზრუნვა ბავშვზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიღარიბე განხილულია, როგორც ერთ-ერთი წამყვანი საფუძველი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან განშორებისა, რაზეც სახალხო დამცველიც საუბრობს მომზადებულ ანგარიშებში[8]. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, ამძაფრებს ისიც, რომ ადგილობრივ დონეზე არ არსებობს სპეციფიური სოციალური სერვისები[9], რომელიც ეფექტური იქნებოდა იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელიც დღეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს ამ კუთხით აქვს. არსებული პრაქტიკით, სოციალური მუშაკი ნაკლებად ახერხებს იმუშაოს გამოკვეთილი პრობლემების პრევენციასა და გადაჭრაზე. სოციალური მუშაობის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები განხილულია წინამდებარე ანგარიშის მომდევნო თავში.

---

[8] საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების შესახებ მეოთხე პერიოდულ ალტერნატიულ ანგარიში; საპარლამენტო ანგარიში 2016

[9] არსებული სერვისები განხილულია მე-5 თავში

„ბავშვს შრომა არ უნდა უწევდეს. ყველაფერი უნდა ჰქონდეს“.

*ბავშვი, 15 წლის*

## 4.2 ბავშვთა შრომა

### 4.2.1 ბავშვთა შრომის სიტუაციური მიმოხილვა

ბავშვთა შრომა საკმაოდ მწვავე და გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ რაიონში ეს საკითხი ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენად განიხილება, რადგან შრომაში ჩართვა ცდება ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას და რომელიმე სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობას. ბავშვი განურჩევლად მისი ოჯახის სტატუსისა შეიძლება ჩართულ იქნას, როგორც საოჯახო საქმეებში, ისე ნაკვეთებსა და ბაღებში, ნახირსა და ფერმაში მუშაობაში. ხშირად ოჯახი, მშობლები თავად რთავენ ბავშვს შრომაში, ზოგ შემთხვევაში კი ბავშვი იჩენს ოჯახის დახმარების ინიციატივას. ორივე შემთხვევაში ბავშვის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახში არსებული სოციალური, კულტურული ანდა ეკონომიკური მდგომარეობა.

„ბიჭს ხშირად უწევდა დახმარება, რადგან მამამისი ძალიან ცუდად იყო და ვერ მუშაობდა. ხან ჩვენ ვთხოვდით, ხან თვითონ რჩებოდა რადგან სახლში საქმე გასაკეთებელი იყო“.

*მშობელი*

„აქ თოხის სიმაღლე ბავშვის სიმაღლესთან ერთად იზრდება“.

*სოციალური მუშაკი*

„ყველაზე კარგად მუშაობა შემიძლია“.

*ბავშვი, 14 წლის*

რთულია კონკრეტული ასაკის დასახელება, რომლიდანაც ხდება ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, თუმცა ყველაზე მინიმალურ ასაკად გამოიკვეთა 5-6 წელი, რა დროსაც ბავშვები მშობელს ეხმარებიან თხილის, მაყვლის, ჟოლოსა და სხვა ხილის კრეფაში, რომელსაც შემდეგ ყიდიან. ძირითადი და მეტად გარვცელებული ბავშვთა შრომა 10-14 წლის ასაკიდანაა. ეს არის პერიოდი რა დროსაც ბავშვი აქტიურად ებმევა შრომით საქმიანობაში და სეზონზე დღიურ მუშადაც ქირაობენ, რა დროსაც საშუალოდ დღეში 20 ლარს გამოიმუშავებენ, მუშაობის პერიოდი კი დილის 7 საათიდან შუადღის 2 საათამდეა.

„10 წლიდან ვეხმარები მშობლებს. ჩემზე პატარა გოგოა სოფელში და ისიც ყველაფერს აკეთებს. 10 წლიდან უკვე შეუძლია ბავშვს დაეხმაროს ოჯახს“.

*ბავშვი, 15 წლის*

„როცა სამუშაოა ვეხმარები. ხშირად ვეხმარები. ზოგჯერ სკოლის გაცდენაც მიწევს. ასე 8 წლიდან დავიწყე მუშაობა. ჩემი მეგობრებიც ეხმარებიან მშობლებს“.

*ბავშვი, 15 წლის*

„მუშაობა 14 წლიდან დავიწყე, როგორც ყოველთვის იწყებენ ხოლმე ბავშვები“.

*ბავშვი, 15 წლის*

როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ოჯახი არ არის ბავშვთა შრომის ხელშემწყობი და აღნიშნულში სკოლაც თავის როლს თამაშობს. რესპოდენტთა მონათხრობიდან ირკვევა რომ სეზონური სამუშაოების პერიოდში არ ხდება დასწრების აღრიცხვა, რაც კიდევ უფრო წაახალისებს სკოლების გაცდენას. ეს გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ბავშვები, რომლებიც ირიცხებიან სკოლებში, სეზონზე ფაქტიურად ძალიან ნაკლებ დროს ატარებენ სკოლაში და უფრო ბევრს ბაღ-ვენახებში (საკუთარში ან დაქირავებულ მუშად). უფრო მეტიც, კვლევის მონაწილეები მიუთითებდნენ რომ გარკვეულ შემთხვევებში ბავშვთა შრომა გამოყენებულია მასწავლებელთა მხრიდანაც, მასწავლებელს თავად მიყავს ბავშვები მისი პირადი ნაკვეთის დასამუშავებლად და მოსავლის ასაღებად, შესაბამისი ქულის სანაცვლოდ.

„მასწავლებელს უთქვამს ბავშვებისთვის გასათოხნი მაქვს და წამომყევითო და ბავშვებიც სიამოვნებით მიყვებიან ოღონდ ნიშანი დაუწეროს“.

*არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები თავადაც აღნიშნავენ რომ ბავშვები ხშირად აცდენენ სკოლას სწორედ მუშაობის გამო. ამავდროულად, ამ ფაქტორს უარყოფითად არ განიხილავენ და თვლიან რომ ბავშვმა შრომა ადრეული ასაკიდან უნდა ისწავლოს.

„ნორმირებულად შრომა ძალიან კარგიც კია ბავშვისთვის. ზოგ ოჯახში გააზრებულად ხდება ყველაფერი - შრომას თავისი დრო აქვს, სწავლას თავისი. ამაში ცუდი არაფერია, თუ ნორმირებულია, შრომას ეჩვევენიან“.

*მასწავლებელი*

გამგებლის წარმომადგენლები დაახლოებით იგივე პოზიციას იზიარებენ, რადგან მათ თავადაც აქვთ შვილების მეურნეობებსა და საოჯახი საქმეებში ჩართვის გამოცდილება.

„თუ ნებაყოფლობითია შრომა კარგია. ჩვენც ვიყენებთ ბავშვების შრომას, ოღონდ ნორმირებულად. შრომას უნდა მივაჩვიოთ ბავშვები პატარაობიდან“.

*ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი*

ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ბავშვთა შრომა ამ რეგიონისთვის ყოველდღიურობის ნაწილია, არ განიხილება სოციალურ პრობლემად და შეიძლება ითქვას, რომ მიღებული და წახალისებული ქმედებაა.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ მეტნაკლებად განსხვავებულია შრომითი საქმიანობები გენდერული ნიშნის მიხედვით. გოგოები, ძირითადად დაკავებულნი არიან საოჯახო საქმიანობის შესრულებით, უმცროს დედმამიშვილებზე ზრუნვით და/ან ხილისა და ბოსტნეულის კრეფაზე დაყვებიან მშობლებს. ბიჭების შემთხვევაში, უფრო ჭარბობს ფიზიკური შრომა, რაც თოხნას, ბარვას, ტყიდან შეშის მოტანას, ჩეხვასა და სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობის შესრულებაში გამოიხატება.

„ვასაქმებ სახლში, ჭურჭელს ვარეცხინებ, გოგოა და სისუფთავე უნდა ისწავლოს“. *მშობელი*

ეთნიკური უმცირესობის ჭრილში განხილვისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავებულია შრომის სახეები. მაგალითად, აზერბაიჯანელი და ოსი ეროვნების წარმომადგნლებში მეტად აქტუალურია მეცხოველეობის მიმართულებით ბიჭების ჩართვა შრომაში, რაც შესაძლოა ნახირსა და მწყემსად სიარულში გამოიხატებოდეს. ამ შემთხვევაშიც, კულტურული ფაქტორები გარკვეულწილად ამყარებს ბავშვების ჩართვას შრომით საქმიანობაში. აღნიშნული გარემოება ცნობილია სოციალური სამსახურის წარმომადგენელთათვისაც, რომლებიც განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ეთნიკური უმცირესობებით დასახმებულ სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე.

„ლაგოდეხში გვაქვს დიდი თემი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული. შესაბამისად, ამ თემში ძალიან ხშირია არასრულწლოვნების ფიზიკური შრომა. მათ სკოლაში არ ატარებენ გაზაფხულის პერიოდში“ *სოციალური მუშაკი*

ბავშვთა შრომა რომ დადებითი მოვლენა არ არის მეტნაკლებად იაზრებენ მშობლები, თუმცა ცდილობენ გამართლება მოძებნონ და ეს პრობლემა ახსნან ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობით. მეორეს მხრივ, კი სკოლის ხელშეწყობას ამ მიმართულებით დადებითად აფასებენ.

„ბავშვის მუშაობა იმ დროს როცა სკოლაში უნდა იყოს ძალადობაა. ძირითადად ძალადობენ ვისაც საშუალება არ აქვს და ცდილობს ან ტყეში წავიდეს ან სადმე“. *მშობელი*

„ბავშვები მეხმარებიან, შრომობენ. მე თუ მკითხავთ არც უნდა მუშაობდნენ. მუშაობა ცუდ გავლენას ახდენს ბავშვეზე, ძილი აკლდებათ. სკოლის გაცდება როცა უწევთ დორექტორისგან ვითხოვ ნებართვას. სკოლაშიც იციან და გვერდში მიდგანან. მეუბნებიან „არას“ არ დავწერთო“. *მშობელი*

## 4.2.2 ბავშვთა შრომის გამომწვევი მიზეზები

ბავშვთა შრომას, როგორც სოციალურ პრობლემას, შესაძლოა სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი ჰქონდეს, თუმცა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის წამყვანი და ფუნდამენტურია ადგილობრივების დამოკიდებულება პრობლემასთან მიმართებით.

**კულტურული და დამკვიდრებული სოციალური ნორმები** ყველას თანაბრად უბიძგებს ბავშვის შრომაში ჩართვისაკენ. ამ შემთხვევაში ნათლად იკვეთება, რომ ბავშვთა შრომა რომელიმე ჯგუფის (ეთნიკური უმცირესობა, სიღარიბეში მცხოვრები და ა.შ) სახასიათო თვისება კი არ არის, არამედ ამ რეგიონში ცხოვრების ბუნებრივი მდგომარეობაა. შესაბამისად, მოსახლეობის დამოკიდებულება ამ პრობლემისდმი არათუ იძლევა დაიმედების საფუძველს, არამედ აჩენს მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

**დაბალი ხელმისაწვდომობა არაფორმალურ განათლებას, სპორტსა და რეკრეაციულ აქტივობებზე** ბავშვებს უჩენთ ბევრ თავისუფალ დროს. შრომა კი მშობლების მიერ ამ დროის შევსების მექანიზმად განიხილება.

> „ბავშვები მთელ დღეს თამაშში ვერ გაატარებენ და ხდებიან შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლი. ძირითადად მუშაობენ მშობლებთან ერთად“.
>
> *ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

**სკოლების მიმღებლური დამოკიდებულება,** რომლითაც ის ხელს უწყობს ბავშვთა შრომის გაძლიერებასა და კიდევ უფრო მეტად ართულებს პრობლების მოგვარების შესაძლებლობას. ლოიალური დამოკიდებულება ბავშვის მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევებზე რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა შრომასთან, ფაქტიურად ამყარებს მშობლების ქცევას და ბუნებრივია არანაირად არ უწყობს ხელს ბავშვთა შრომის პრევენციას.

**ჯანმრთელობის საფრთხის გაუაზრებლობა**, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია მშობელთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხით, მეორეს მხრივ კი ჯანდაცვის სისტემა, სკოლის მსგავსად, ვერ ხედვას საფრთხეს და არ რეაგირებს ამ პრობლემაზე.

> „სოფელ ულიანოვკაში ბავშვები, არასრულწლოვნები მუშაობენ. ყველაზე ბევრი დაავადება და ავადმყოფობა იქაა. ეს ბავშვები მუშაობენ პარნიკებში, საკმაოდ საშიშ გარემოში. არ აქვთ მშობლებს და ბავშვებს გაცნობიერებული კავშირი ჯანმრთელობასა და მუშაობას შორის. უბრალოდ ხედავენ ფინანსურ შემოსავალს“.
>
> *საბავშვო ბაღის მასწავლებელი*

**ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა, ცნობიერების დაბალი დონე და ბავშვთა დაცვისაკენ მიმართული სერვისის ნაკლებობა,** პრობლების არასათანადოდ შეფასებასთან ერთად, ეხმარება ბავშვთა შრომის, როგორც ქცევის პატერნის გამყარებას. მნიშვნელოვანია სწორედ ადგილობრივი სოციალური სამსახურების გაძლიერება ამ მიმართულებით, რათა იმუშაონ ინფორმირებულობის ამაღლებასა და შრომით საქმიანობაში ჩაბმულ ბავშვთა რაოდენობის შემცირებაზე.

## 4.3 ბავშვთა მიმართ ძალადობა

### 4.3.1 ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა

ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხების შესწავლისას კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულ იქნა, როგორც ძალადობის სხვადასხვა ფორმების იდენტიფიცირებაზე, ისე ადრეული ქორწინებისა და ბულინგის[10] საკითხებზე. დამატებით, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხის ანალიზისათვის, განხორციელდა სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან.

**ოჯახში ძალადობა:** შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოში 2016 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით სულ შევიდა 75 შეტყობინება, რომლებზე რეაგირების შედეგადაც გაცემულ იქნა 8 შემაკავებელი ორდერი. 2017 წლის მდგომარეობით[11] კი დაფიქსირებულია 29 შეტყობინება და გაცემულია 9 შემაკავებელი ორდერი. საინტერესოა ის გარემოება, რომ მიუხედავად მიმდინარე წელს განხორციელებული შეტყობინებების ნაკლები რაოდენობისა, გაზრდილია გაცემული ორდერების რაოდენობა, რაც პასუხისმგებელი უწყების მიერ რეაგირების მექანიზმს წარმოადგენს.

ამასთანავე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2016 წელს რეაგირების მიზნით, სამსახურისადმი განხორციელებულია 6 შეტყობინება ბავშვთა მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის თაობაზე. აქედან 3 საგანმანათლებლო დაწესებულების, 1 სახალხო დამცველის, 1 არასამთავრობო ორგანიზაციისა და 1 სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების მიერ. მიმდინარე წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ასევე 6 შეტყობინება. 3 თავად მსხვერპლის, 2 მეზობლისა და 1 სახალხო დამცველის აპარატის ადგილობრივი წარმომადგენლის მიერ[12]. ამ კუთხით მისასალებელია ტენდენცია, როდესაც ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებას თავად მსხვერპლები და თემში მცხოვრები პირები აკეთებენ.

**ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე** ღიად ნაკლებად თუ მიუთითებენ მშობლები. ნაწილი აღნიშნავს, რომ ძირითადად მეგობრული და მოსიყვარულე ურთიერთობა აქვთ, თუმცა აქვე ხაზს უსვამს მამის, როგორც მკაცრი აღმზრდელის როლს. მონაწილეთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ბავშვებზე სიმკაცრე და ცემა დადებითად მოქმედებს. შესაძლოა გაბრაზებისას „მოჩეჩოს“ ან „წამოარტყას“ კიდეც. აღნიშნავენ იმასაც, რომ ზოგადად კახეთში მკაცრი ხალხი ცხოვრობს, რომლებიც ბავშვებსაც სიმკაცრეში ზრდიან.

„ცემა პატარებთან ძალიან ამართლებს. ბიჭი 8 წლიდან აღარ მიცემია და ცოტახანი კიდევ უნდა მეცემა“. (მშობელი)

---

[10] ძალადობა თანატოლებს შორის

[11] მონაცემები დათვლილია 2017 წლის 1 იანვრიდან - 1 აგვისტოს ჩათვლით

[12] 2 ბავშვი გადაყვანილ იქნა დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, 2 მინდობით აღზრდაში, 1 ნათესავთან, 1 კი ნაქირავებ ბინაში

„კახეთში ცოტა მკაცრი ხალხია. ვცდილობ ხელით არ შევეხო ბავშვებს. ცემა და ხელით შეხება არაა მართებულ, თუმცა მეუღლე უფრო მკაცრია“.

*მშობელი*

„თუ დასასჯელია ბავშვი უნდა  დაისაჯოს. თუ ეტყვი ერთხელ, ორჯერ და არ გაიგებს სხვა რა გზაა. უნდა დაუყვირო, ან მოარტყა“.

*მშობელი*

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის განმახორციელებელზე განსხვავებული დამოკიდებულებაა მშობლების მხრიდან. თავისთავად, თუ ეს მეორე მშობელია (უმრავლეს შემთხვევაში მამა) ეს საქციელი გამართლებულია. ასევე, გამართლებულია ბაღისა და სკოლის მასწავლებლის მხრიდან, მაგრამ თუ განმახორციელებელი მეზობელი და/ან სხვა მესამე პირია, ამ შემთხვევაში გაცილებით მწვავედ ხდება ძალადობის აღქმა. ამგვარი დამოკიდებულება მიუთითებს, რომ ძალადობის განმახორცილებლის ვინაობა განსაზღვრას ფაქტის ძალადობად აღქმას და აღზრდის მიზნებისთვის ძალადობრივი ფორმების გამოყენებას მიიჩნევს დასაშვებად.

„მასწავლებელმა რომ ცემოს ჩემი შვილი, რეაქცია არ მექნება. მეზობელმა რომ ცემოს პასუხს მოვთხოვ“. *მშობელი*

კვლევის სხვა მონაწილეები  ფიზიკურ ძალადობას ხშირ პრობლემად ახასიათებენ. იკვეთება, რომ განსაკუთრებით საბავშვო ბაღსა და სკოლაშია შესამჩნევი ოჯახში ძალადობის კვალი. მასწავლებლები აღნიშნავენ იმასაც, რომ მოსწავლეები განიცდიან ამ ტიპის ძალადობას, რაც სკოლაში მათ  ქცევას, განწყობასა და დამოკიდებულებებზე აისახება. მასწავლებელთა შეფასებით, გარდა იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშებს  ეტყობათ ვიზუალურად ცემის კვალი, ისინი მეტად ჩაკეტილები და შფოთიანები არიან.

„ბავშვმა მითხრა დედაჩემს სახლში საჭმელს რომ ვთხოვ საკეცით მცემსო. ერთი თვე მოვუნდით, რომ ამ ბავშვს საჭმელი ეჭამა. რცხვენოდა და ეშინოდა“.

*საბავშვო ბაღის მასწავლებელი*

„ბაღში რომ მოიყვანეს ბავშვი ტიროდა და არ უნდოდა დარჩენა. შეშინებული იყო, რომ მიუახლოვდებოდები თავზე ხელს იფარებდა, ეგონა რომ უნდა გვეცემა”.

*საბავშვო ბაღის მასწავლებელი*

კვლევის მონაწილე ოჯახის ექიმის ინფორმაციით, ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე ხშირად აქვს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის მაგალითები  და ეს პრობლემა „ყველა ფეხის ნაბიჯზე გვხვდება“.

„იგინებიან, აგინებენ ბავშვებს. ყოველ წუთას ულახავენ ღირსებას. გაირბენს, გამოირბენს ბავშვი და დაეტაკებიან, ყურს აუწევენ, უჩმეტენ. ეს არ არის ძალადობა?!“

*ოჯახის ექიმი*

„ბავშვზე ძალადობს ყველა, ვინც იმ ბავშვზე ძლიერია“.

*ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

თავად კვლევის მონაწილე ბავშვები ნაკლებად საუბრობენ მშობელთა მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევებზე. ფიქრობენ, რომ მშობლების მხრიდან სამართლიანად ისჯებიან და ეს არის მათი ქცევის დამსახურებული შედეგი.

„უსამართლოდ არასოდეს დავსჯილვარ. როცა დავსჯილვარ, ყოველთვის სამართლიანად“.

*ბავშვი, 13 წლის*

„ბავშვი მკაცრად უნდა გაიზარდოს, აღიზარდოს“.

*ბავშვი, 15 წლის*

ბავშვებს იგივე დამოკიდებულება არ აქვთ სკოლის მასწავლებლების მიერ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე. სკოლებში პედაგოგები ახორციელებენ ძალადობას, რომელსაც არცთუ ისე იშვიათი ხასიათი აქვს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ თავად მასწავლებლები ძალადობის განხორციელების ძირითად ადგილებს შორის პირველ რიგში ოჯახს ასახელებენ, ხოლო ბავშვები მასწავლებლების მხრიდან ძალადობაზე აკეთებენ აქცენტს.

„მასწავლებლები ყვირიან, ყურის აწევა იციან. მასწავლებელს ბეჭედი უკეთია და ვისაც გაკვეთილი არ ეცოდინება შუბლში ურტყავს. კლასიდან გაგდება და ცემა იციან. ყველა მასწავლებელი ასეა ერთის გარდა”.

*ბავშვი, 13 წლის*

„ზოგი მასწავლებელი გვტუქსავს და შეურაცხყოფას გვაყენებს. გვეუბნებიან ცუდ ოჯახში ხართ აღზრდილები და ბოსლიდან ხართ გამოსულებიო. თმაში მოქაჩვა იციან. ხშირად ხდება ასე“.

*ბავშვი, 17 წლის*

## 4.3.2 ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა

კვლევის მონაწილეები ფიქრობენ, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ისეთივე მწვავე პრობლემაა, როგორც ფიზიკური ძალადობა. შესაძლოა ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა, თუმცა ხორციელდება ყველგან - სახლშიც, სკოლაშიც და ნებისმიერ ადგილას, სადაც ბავშვს უწევს ყოფნა. ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ საინტერესო მაგალითად გამოიკვეთა, ბებია-ბაბუების დამოკიდებულება, ზოგადად ბავშვისა და მისი განათლების, განვითარების მიმართ, რასაც ერთი მხრივ ხელს უწყობს კულტურული ფაქტორები და მეორეს მხრივ, ახალგაზრდების (მშობლების) მიგრაცია. უფროსები ვერ ახორციელებენ სათანადო ზრუნვას მიბარებულ ბავშვზე. ხანდახან არ აძლევენ თამაშის, ხტუნვისა და გართობის საშუალებას. უკრძალავენ ხმამაღლა კითხვას, მაშინ როდესაც თავად გართულები არიან სხვა ისეთი საქამიანობით, როგორიც მაგალითად სერიალების ყურებაა. შესაბამისად, ბავშვებს ნაკლებად აქვთ სწავლისა და გართობის საშუალება აღზრდის ასეთი მიდგომების გამოყენებისას. ამას ემატება ოჯახში კონფლიქტური სიტუაციები თაობებს შორის, როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების სირთულეები (თუ ვინაა გადაწყვეტილების მიღები, პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზე და სხვა), რასაც საბოლოო ჯამში ბავშვის საუკეთესო ინტერესები ეწირება.

> „ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ბაბუა, ბებია, დედა, მამა, შვილი, 4-5 თაობა ცხოვრობს ძალიან ძნელია დედა-შვილობა, მამა-შვილობა იქნას ბოლომდე შენარჩუნებული, რადგან გადაწყვეტილებას ყველა იღებს. მერე ხდება თაობათა შორის კონფლიქტი და სწორედ ამ დროს წარმოიშობა პოზიციების გაუნაწილებლობის პრობლემა“.
>
> *არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

ოჯახის წევრთა შორის დამოკიდებულებისა და აღზრდის მეთოდებისადმი მცდარი შეხედულებები, გამოიკვეთა ემოციური ძალადობის ერთ-ერთ მაპროვოცირებლად. ამასთან, აღნიშნა რომ ემოციური ტიპის ძალადობა ხშირი და გავრცელებული ქცევის პატერნია ბავშვების მიმართ.

> „ბავშვზე ძალადობს ყველა. ყველა ვინც მასზე ძლიერია. სიტყვიერი ძალადობა ძალიან ხშირია.“
>
> ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი

ამასთანავე, აღსანიშნავია რომ ცალკეულ შემთხვევებში, ბავშვების მხრიდან, ყვირილი და სიტყვიერი შეურაცხყოფა ბავშვის მისამართით, არ იქნა შეფასებული როგორც ძალადობის ფორმა. ისინი ძალადობის გაიგივებას ძირითადად ახდენენ ფიზიკური დასჯის მეთოდების გამოყენებასთან.

## 4.3.3 ბავშვის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა

**უგულებელყოფის** განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი. ოჯახებს აქვთ ფერმაში ცხოვრების, ყოველდღიურ მუშად ბაღებში მუშაობის გამოცდილება, რა დროსაც ბავშვის განათლება, სოციალიზაცია და ჯანმრთელობის საკითხი უკანა პლანზეა გადაწეული. იმ ოჯახებში რომლებიც მშობლები სეზონურ მუშად მუშაობენ ვერ ხდება ბავშვის დაცვა უგულებელყოფისაგან, რადგან სეზონური სამუშაოები ხშირად დილის 6 საათიდან, საღამოს 9-10 საათამდე ნაკვეთში მუშაობას მოიაზრებს. ფაქტიურად მშობლებს არ რჩებათ დრო სათანადოდ იზრუნონ შვილებზე. უგულებელყოფის საკითხზე საუბრობენ, როგორც სკოლის, ისე ბაღის მასწავლებლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მშობელთა ნაწილისათვის ბავშვის განათლება, სოციალიზაცია ნაკლებად არის პრიორიტეტული. პედაგოგების ინფორმაციით ბავშვები სასკოლო ინვენტარის გარეშე და მოუწესრიგებლები დადიან სკოლაში, რაც სხვა მათი თანატოლების მხრიდან ჩაგვრის საფუძველიც კი შეიძლება გახდეს.

„უჭირთ მშობლებს, დადიან მუშებად და ბავშვი მიუხედავი რჩება. ბავშვი მოდის აბსოლიტურად უპასუხისმგებლოდ. დაწყებითებში დავალება არ აქვს, კალამი არ აქვს, რვეული არ აქვს. იმიტომ რომ მშობელი დილის ექვსი საათიდან წასულია საღამოს რვა საათამდე და მუშაობს. სახლში მოსული რაღას გააკეთებს. ფაქტიურად ღმერთის ანაბარაა ბავშვი დარჩენილი“. *მასწავლებელი*

„მშობლები განათლებაზე ნაკლებად ზრუნავენ. უფრო არის მატერიალური საკითხები. რა ვაჭამო, რა ჩავაცვა“.

*მასწავლებელი*

ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენელს აქვს მშობელთა მხრიდან უგულებელყოფის მაგალითებიც.

„ეხლა გვქონდა ყივანახველა. დედამ თქვა, მოკვდეს, მერე რა. თბილისში არ წავიყვანო ამ ბავშვს“. *ოჯახის ექიმი*

მასწავლებელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მრავალშვილიანი ოჯახების შემთხვევაში, დედებს ან არ აქვთ საკმარისი დრო მოიკითხონ ბავშვთა მდგომარეობა სკოლაში ან არ თვლიან საჭიროდ. მშობლების უმრავლესობა სკოლებში მხოლოდ კრებების დროს თუ დადის - *„როცა დამიძახებენ მივდივარ, ისე რა მინდა“.* არის შემთხვევები, როდესაც უფროს და-ძმას მიყავს და გამოყავს უმცროსი ბავშვი ბაღიდან და სკოლიდან. მშობელთა ნაკლები ჩართულობა კი უარყოფითად აისახება ბავშვების განათლების მდგომარეობასა და ზოგად განვითარებაზე.

## 4.3.4 ადრეული ქორწინების პრაქტიკა

ნაადრევი ქორწინების საკითხი, აქტუალურ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს კახეთის რეგიონისათვის. იმის მიუხედავად რომ კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ შეტანილი ცვლილების შემდეგ იკლო შემთხვევათა რაოდენობამ, ლაგოდეხის რაიონში კვლავ აქტუალურია არასრულწლოვან გოგონათა ქორწინების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ლაგოდეხის რაიონში 2016 წელს 10, ხოლო 2017 წელს 2 არასრულწლოვანთა ქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა. სოციალური მომსახურების სააგენტოში 2016 წელს დაფიქსირდა სულ 6 შემთხვევა (1 ბიჭი, 5 გოგო). აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილია ის შემთხვევები, რომელთა გამომჟღავნებაც მოხდა და შესაბამისი რეაგირება მოჰყვა ბავშვზე ზრუნვის სამსახურისა და სამართალდამცავების მხრიდან. თუმცა სავარაუდოა, რომ რეგიონში არ ხდება ამ საკითხთან დაკავშირებული შესწავლის განხორციელება და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, რადგან განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016-2017 სასწავლო წელს, ლაგოდეხში მხოლოდ 2-მა მოსწავლემ შეწყვიტა სწავლა დაოჯახების გამო, მაშინ როდესაც კვლევის მონაწილეები პრობლების აქტუალობასა და გავრცელებულობაზე საუბრობენ.

„ბოლო მონაცემებით კახეთი წამყვანია. კანონის გამო ცოტა შეიცვალა სიტუაცია ამ კუთხით, ოღონდ ეს კანონი უნდა ამუშავდეს კარგად. ინფორმაცია უნდა გავრცელდეს საზოგადოებაში“. *სოციალური მუშაკი*

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ გოგონათა ქორწინების ასაკად დაახლოებით 13-14 წელი იკვეთება, თუმცა მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ასაკი უფრო დაბალიც შეიძლება იყოს. აღსანიშნავია, ისიც, რომ გარცელებული ტენდენციის მიხედვით, ნაადრევი ქორწინების შემთხვები ქართველ მოსახლეობაში ნაკლებადაა და უფრო მეტად ეთნიკურ უმცირესობებში გვხვდე, თუმცა ამის დამადასტურებელი სტატისტიკა არ მოიპოვება.

„მშობელს უნდა ჰქონდეს შეგნება. თუ შეგნება არ აქვს, უნდა დაისაჯოს მშობელი. აზერბაიჯანელებში მაინც ხდება მაგრამ ეს მათი ტრადიციაა, ვერ მოვაშლევინებთ“. *ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

ამ ყველაფრის ფონზე, სოციალურ სამსახურს და სოციალურ მუშაკებს უწევთ შემდგომ გაუმკლავდენენ ამ ნაბიჯით გამოწვეულ ისეთ რისკებს, როგორიც ბავშვისა და არასრულწლოვანი დედის ოჯახური ძალადობისაგან დაცვაა, ნაცვლად პრევენციული სახის სამუშაოების განხორციელებისა.

მისასალმებელია, რომ ადგილობრივ დონეზე პრობლემასთან საბრძოლველად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში, გააქტიურდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და რელიგიური წინამძღვრების ვიზიტები. ორგანიზაციები სხვადასხვა სოციალური პროექტების ფარგლებში მოსახლეობის ინფორმირებას ახდენენ კანონმდებლობის შესახებ, რომელიც არასრულწლოვანთა ქორწინების საკითხს არეგულირებს. ინფორმაციის გავრცელების პროცესში ჩართული ჰყავთ ექიმ-რეპროდუქტოლოგი, რომელიც მოზარდებს უზიარებს ინფორმაციას იმ ზიანის შესახებ, რომელიც ორგანიზმს ნაადრევი სექსუალური ცხოვრების დაწყების, ორსულობისა და მშობიარობის დროს ადგება. ხოლო მუსლიმი კონფესიის წარმომადგენლები ცდილობენ, მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ რელიგია არ ავალდებულებთ გოგოების ადრეულ ასაკში გათხოვებას.

საინტერესოა, რომ საკითხთან მიმართებით, კვლევის მონაწილეებს გარკვეულწილად ორმაგი დამოკიდებულება აქვთ. თავად ნაადრევი ქორწინების ფაქტს ყველა მონაწილე უარყოფით მოვლენად განიხილავს, თუმცა თავად უჭირს განსაზღვროს როგორ მოიქცეოდა შვილს რომ მიეღო ეს გადაწყვეტილება. არათანმიმდევრულია მათი კრიტიკაც, რადგან მსგავს შემთხვევებზე რეაგირება სკოლების, სამედიცინო დაწესებულებისა და გამგეობის წარმომადგენლების მხრიდან არ განიხილება, როგორც აუცილებლობა.

„არასრულწლოვანთა ქორწინება გავრცელებულია, მაგრამ ხშირი არაა. უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. ჩემმა გოგომ რომ მითხრას გათხოვება მინდაო, სიმართლე გითხრა გამიხარდებოდა, რადგან სახლი არ გვაქვს. მაგრამ სასწორზე ვიქნებოდი, არ მეცოდინებოდა რა გამეკეთებინა“.

*მშობელი*

## 4.3.5 თანატოლთა შორის ძალადობა

მიუხედავად იმისა, რომ ბულინგი (თანატოლებს შორის ძალადობა) გამოიკვეთა აქტუალურ სოციალურ პრობლემად, აღინიშნა, ისიც რომ განათლების სისტემა ამაზე სათანადოდ არ რეაგირებს. ბევრი სკოლა საერთოდაც უარყოფს პრობლემის არსებობას.

„სკოლაში აქტუალურია ბულინგის თემა. მე მეჩვენება, რომ განათლების სიტემა ამაზე რეალურად არ რეაგირებს. ზოგიერთი, დირექტორი და მასწავლებლი, ბულინგის საკითხს უარყოფს“.

*არასმთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

თვისობრივი კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, ბულინგი ხორციელდება, როგორც ბაღში, ისე სკოლასა და ქუჩაში. საერთო ჯამში კი ასაკი დაწეულია. გახშირებულია შემთხვევები ბაღებსა და დაწყებით კლასებშიც. ანუ პრობლემა აქტუალურია ყველა ასაკის ჯგუფებში და არამხოლოდ უფროსკლასელებში, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ამ ასაკობრივ ჯგუფს მიეწერებოდა.

ბავშვების ინტერვიუებიდან გამომდინარე, დაცინვის, დამამცირებელი მოპყრობისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები თანატოლებს შორის საკმაოდ აქტუალურია.

„ბავშვები დაცინიან და ჩაგრავენ ერთმანეთს. ჩაცმის სტილზე, მოუწესრიგებელი რომ ხარ, ლაპარაკზე, შენს ოჯახს რომ უჭირს და კარგი ოჯახი რო არ გყავს. მასწავლებლებმა იციან მაგრამ რეაგირება არ აქვთ“.

*ბავშვი, 17 წლის*

„კლასელებთან ცუდი ურთიერთობა მაქვს უზრდელები და მეტიჩრები არიან. არ უნდათ ჩემთან ურთიერთობა“.

*ბავშვი, 13 წლის*

„ძირითადად კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ზოგიერთი დამცინის ძალიან დიდი რომ ვარ, მსუქანი“.

*ბავშვი, 16 წლის*

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ნაწილს თავის თავზე გამოუცდია თანატოლთა მხრიდან განხორციელებული ჩაგვრა, მაინც ფიქრობენ, რომ ეს ბულინგი და/ან ძალადობა არ არის. ასევე, მიაჩნიათ, რომ თანატოლებთან კონფლიქტს თავად უნდა გაუმკლავდნენ და მასწავლებლის, ან მშობლის ჩართვა მიზანშეწონილად არ განიხილება. სამწუხაროა, რომ სკოლა და საზოგადოება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ ერთვება ბულინგისა და კიბერბულინგის[13] აღმოფხვრაში და სხვამხრივ, პრობლემასან ბრძოლა და პრევენცია არ ხორციელდება, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ პოზიტიურ მაგალითებს, რა დროსაც ერთ-ერთი სკოლის ინიციატივით, მოხდა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ბულინგის თემაზე.

[13] ბულინგის ფორმა, რომელიც თავს იჩენს ტელეფონის, კომპიუტერის, ინტერნეტის გამოყენების გზით

## 4.3.6 ბავშვთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები

**ოჯახებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა** უარყოფითად აისახება ბავშვთა დაცვის მდგომარეობაზე და კავშირშია მათი კეთილდღეობის ხარისხთან. ამ შემთხვევაში მიზეზების ძიებისას მეტი აქცენტი რეგიონში ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქალთა განათლების ნაკლებ შესაძლებლობებზე უნდა გავაკეთოთ, რაც შემდგომში აისახება მათი დასაქმების მდგომარეობასა და როლზე ოჯახში. ქმრებსა და ოჯახის სხვა წევრებზე ფინანსური დამოკიდებულება ქალებს უბიძგებთ მოითმინონ და აიტანონ ყოველგვარი ძალადობრივი მოპყრობა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძალადობას ჯაჭვური ხასიათი აქვს, ძალადობის მსხვერპლი ქალები შექმნილი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თავად ხდებიან ძალადობის განმახორციელებლები ბავშვებზე.

**ცნობიერების დაბალი დონე** აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით კიდევ უფრო ართულებს ბავშვების მდგომარეობას, რადგან როგორც კვლევიდან ირკვევა აღზრდის გავრცელებული ფორმები ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მოიცავს. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებთან დროის უმეტეს ნაწილს დედები ატარებენ, თავისთავად მათ მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება უფრო მეტია, თუმცა კვლევის მონაწილე ბავშვებისა და მშობლების გადმოცემით, მამები გაცილებით მკაცრები და მომთხოვნები არიან ბავშვების მიმართ. ფაქტია, რომ პოზიტიური მშობლობისა და აღზრდის მეთოდების შესახებ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის მაჩვენებელი. პრობაციის სამსახურის წარმომადგენელის მხრიდან აღინიშნა, რომ აღზრდის მეთოდები კორელაციაშია დელიქვენტურ ქცევასა და დანაშაულის ჩადენის რისკთან. თუმცა არასრულწლოვანთა დანაშაული გვხვდება არამხოლოდ სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებში, არამედ უფრო ხშირადაც კი ეკონომიკურად ძლიერ ოჯახებში, სადაც მშობელი გადამეტებულ ზრუნვას იჩენს, ან თავად ნაკლებადაა ჩართული ბავშვის აღზრდაში (აღმზრდელის როლი ძიძას, ბებიას აქვს).

> „ინფორმირებულობის ნაკლებობაა აღზრდის მეთოდებზე, არ იციან როგორ უნდა იმუშაონ საკუთარ შვილებთან. მამები ნაკლებ დროს უთმობენ შვილებს. არ არიან ჩართულები შვილის ცხოვრებაში. ასევე არის ეკონომიკური საკითხები - მშობლების უმუშევრობა და სიღარიბე“. *სოციალური მუშაკი*

**მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი** გავლენას ახდენს უგულებელყოფაზე. ძირითადად დედები იმყოფებიან საზღვარგარეთ და ბავშვი დატოვებულია მამასთან და ბებიასთან, რომლებიც სათანადოდ ვერ მეთვალყურეობენ ბავშვს, რადგან სხვა საზრუნავი (მოსავალი, საოჯახო საქმე და სხვა) მეტად პრიორიტეტულია მათთვის. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს ბებია-ბაბუა ზრდის ისინი ბევრ სხვა საზრუნავთან ერთად და ასაკიდან გამომდინარე, ვერ პასუხობენ ბავშვის განვითარების საჭიროებებს. მზრუნველის მოსუსტებული როლი კი უგულებელყოფის საფუძველი ხდება.

**საზოგადოების დამოკიდებულება** ოჯახში ძალადობის, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინებისა და ბულინგის მიმართ კვლავ გულგრილია. რაც ერთი მხრივ მოძალადის მიმართ არსებული შიშით, ხოლო მეორეს მხრივ მოქალაქეობრივი, თუ პროფესიული ვალდებულების გაუაზრებლობიით აიხსნება. სამწუხაროა, რომ გარემო არ რეაგირებეს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, რის გამოც არათუ პრობლემის შეჩერება, არამედ ძალადობრივი მოპყრობის პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა ხდება. ამას ამტკიცებს მოძალადეებში დაუსჯელობის სინდრომი, რადგან სამართალდამცავთა როლი ლიმიტირებული, არასაკმარისია და მხოლოდ ერთეული წარმატებული მაგალითები მოიძებნება.

„მამა სვამს, ძალადობს ბავშვებზე. მეზობლები ვერაფერს აკეთებენ იმის შიშით, რომ მერე ჩვენ აქ აღარ დაგვედგომებაო“.

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

„ძალადობაზე ანონიმური ზარებიც კი არის, მაგრამ ის ხომ იფიქრებს რომ მეზობლის, ბაღის გარდა სხვა ვინ დარეკავდაო. მიხვდება მაინც“.

*საბავშვო ბაღის წარმომადგენელი*

„მამა ძალადობდა დედაზე. რა თქმა უნდა შვილები იყვნენ შემსწრეები. მეზობლები ჩავერიეთ, გამოვიძახეთ პოლიცია. ეს კაცი წაიყვანეს, დააკავეს, შემაკავებელი ორდერიც გამოუწერეს. დიდი ხანი აკრძალული ჰქონდა ოჯახთან ურთიერთობა. მაგრამ იგივეს აგრძელებს, არაფერი შეცვლილა. მერე მეზობლებზე ჰქონდა აგრესია. დღესაც არ გველაპარაკება.“

**ადრეული ქორწინების გამომწვევ მიზეზებად** ეთნიკური უმცირესოების კულტურული თავისებურებები  და ზოგადად მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე გამოიკვეთა. ამასთანავე, არასრულწლოვანთა ქორწინება ის შემთხვევაა, რომლის მიზეზების ძიებისას, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები  მჭიდროდ არის დაკავშირებული. მიუხედავად საკონონმდებლო ცვლილებებისა, ოჯახები პოულობენ გამოსავალს გვერდი აუარონ კანონს. არ ახდენენ ქორწინებების დარეგისტრირებას და ბავშვის გაჩენის შემთხვევაში არასრულწლოვანს მარტოხელა დედის სტატუსით გამოჰყავს ბავშვი სამშობიაროდან. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გოგოების მშობლებს უბიძგებთ ჰქონდეთ ნეიტრალური პოზიცია და ნაკლებად მოახდინონ რეაგირება ადრეული ქორწინების შემთხვევებზე.

**ბულინგის შემთხვევაში** საზოგადოების ცნობიერების დაბალ მაჩვენებელთან ერთად, სკოლის არასათანადო როლიც იჩენს თავს. თუმცა იმ  ფონზე, როდესაც სკოლის პედაგოგი თავად შეიძლება იყოს ძალადობის როლური მოდელი ბავშვისთვის, გასაკვირი არაა რომ მას არ აქვს შესაბამისი უნარი ძალადობა არ გახადოს სასწავლო პროცესის ნაწილი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება თანატოლთა შორის ძალადობის შემთხვევებზე. ბულინგის, როგორც სოციალური პრობლების გამომწვევ მიზეზებად საგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლებისა და ზოგადად, საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა შეგვიძლია განვიხილოთ.

## 4.4 უმცირესობათა ჯგუფები და მათი ინტეგრაცია

კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ ჯგუფებზე, როგორიც არიან ეთნიკური უმცირესობი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და ეკომიგრანტები. კვლევის განხორციელებაში მოხერხდა ეთნიკური უმცირესობებისა და ეკომიგრანტების მონაწილეობა. შესწავლილ იქნა საზოგადოებაში მათი ინტეგრაცის მდგომარეობა. აქცენტი გაკეთდა განათლების ხელმისაწვდომობის საკითხზე ზოგადად ყველა ბავშვისა და მათ შორის სპეციფიურად ამ ჯგუფებისათვის.

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შემთხვევა, ხოლო ეკომიგრანტები ყველაზე ნაკლებად განიცდიან ინტეგრაციის პრობლემას, რადგან ენობრივი ბარიერის არ არსებობის გამო მალევე მოახდინეს გარემოსთან ადაპტირება. ევროპის ფონდის მიერ 2016 წელს განხორციელებული კვლევის[14] შედეგებიდანაც ირკვევა, რომ ეკომიგრანტებმა წარმატებულად შეძლეს ინტეგრაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სხვა რაიონებთან შედარებით.

### 4.4.1 ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი საკმაოდ შერეული თემია ეთნოსის თვალსაზრისით. არის სოფლები, რომლებიც დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანლებით, ოსებით, რუსებითა და აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებით. შესაბამისად, თითოეულ ჯგუფს განსხვავებული კულტურა და ტრადიციები აქვს, რაც დამატებით სირთულედ აღიქმება ადგილობრივ დონეზე მოქმედ სამთავრობო უწყებებათა წარმომადგენლების მიერ. ქვემოთ მოყვანილი ციტატებიდან იკვეთება თემში არსებული დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ, რაც სავარაუდოა, რომ ართულებს მათ ინტეგრაციას.

*„არანაირი სირთულე არ აქვთ. მაგათ რომ კითხო, სულ პრობლემები აქვთ. ადგილობრივი უფრო იჩაგრება ვიდრე ეგენი. იღებენ ამ დახმარებებს. კარგად არიან ინტეგრირებული მაგრამ უკმაყოფილო არიან მაინც. ეგენი სულ ასე იქნებიან“.*

*ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

*„სულ პრობლემებს ვაწყდებით მათთან ურთიერთობის დროს. აყვირდებიან რომ არ ვეხმარებით. სულ აგრესიულად არიან“.*

*ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

[14] ეკომიგრანტები და პოტენციური ეკომიგრანტები საქართველოში, ევროპის ფონდი, 2016

გამგებლის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ეკომიგრანტები შედარებით კარგად ადაპტირებულნი არიან და უფრო მეტი სირთულეები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებსა და ოჯახებს აქვთ, რაც გამოიხატება დოკუმენტაციის მოწესრიგებასა და ენობრივ ბარიერში. ინტეგრაციის საკითხი ყველაზე მეტად ბავშვების სკოლამდელი და სასკოლო განათლების დონეზე აქვთ. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში სწავლება ძირითადად აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობს, რაც ენობრივ ბარიეს კიდევ უფრო ამძაფრებს და მოსახლეობას მეტად აშორებს ერთმანეთისაგან.

ეთნიკური უმცირესობების პრობლემების განხილვისას ყურადღება ადრეულ ქორწინებასა და ბავშვთა შრომაზეც გამახვილდა, რაც ამ ჯგუფებისათვის კულტურის ნაწილად ითვლება, თუმცა სარეთო ჯამში კვლევის ფარგლებში არ მოხდა იმის დადასტურება, რომ ასეთი შემთხვევები რომელიმე ეთნიკურ ჯგუფში ხდება უმეტესად.

### 4.4.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2017 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო სოციალური პაკეტის მიმღები 158 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია დაფიქსირებული, რომელთაგან მხოლოდ 36-ია სხვადასხვა ტიპის მომსახურების/დახმარების მიმღები[15].

დიაგრამა 1. მომსახურების მიმღები ბავშვების განაწილება მომსახურების ტიპების მიხედვით




თვისობრივი ანალიზიდანაც ირკვევა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საკითხი უცხო არ არის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვისაც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ისინი ჩართული ყავთ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში. მათ შორის სარგებლობენ ერთჯერადი დახმარებით და დანიშნული აქვთ სახელმწიფო პენსია.

[15] დღის ცენტრი მდებარეობს წნორში

ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლება ბაღებსა და სკოლებში. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო უწყებებისა და კვლევის სხვა მონაწილეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა. ბაღები და სკოლები დადებითად აფასებენ მათ საქმიანობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ინტეგრაციაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს მოჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის  პოზიტიური გამოცდილების მაგალითები. მაშინ როდესაც კვლევის სხვა მონაწილეები, კონკრეტულად კი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აღნიშნავენ რომ სკოლა არ არის სათანადოდ მზად მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი. მასწავლებლები, მშობლები და სხვა მოსწავლეები განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას, არ აქვთ სათანადო დამოკიდებულება შეზღუდულ შესაძლებლობათა მიმართ, რაც მათი მხრიდან დისკრიმინაციულ მიდგომებში შეიძლება იქნეს გამოხატული.

„სკოლის პედაგოგემა შეხვედრის ფარგლებში მითხრეს, შშმ და სსმ ბავშვების უფლებები არ უნდა დავიცვათო. ერთი მიზის გაკვეთილზე დანარჩენ 15 ჯანმრთელთან. ის რომ თავის უნარებს ავლენს და ხელს უშლის ბავშვებს, მასწავლებლებიც ვიძაბებით და გარეთ ვუშვებთო. აბა ჩვენს უფლებებს და  დანარჩენი 15 ბავშვის უფლებებს ვინ იცავსო“.

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

კვლევის მონაწილე ოჯახის ექიმის ინფორმაციით, რაიონში საკმაოდ გაზრდილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რაოდენობა. იმატა აუტისტური სპექტრისა და დაუნის სინდრომის შემთხვევებმა, ხშირია ქცევითი პრობლემები. შესაბამისად, აუცილებელია მშობლება სათანადო ყურადღება დაუთმონ, როგორც ორსულობისათვის მომზადებას, ისე ორსულობის პერიოდში გაიკეთონ შესაბამისი დიაგნოსტიკური ტესტები, რათა მეტად მოემზადონ მშობლობისთვის. ამასთანავე, აუცილებელია ისეთი მომსახურებების განვითარება, რომლებიც შშმ ბავშვის მშობლებს დაეხმარებათ ზრუნვის უკეთ განხორციელებასა და აღზრდის მეთოდების დახვეწაში, რაც დღეს ასეთი პრობლემურია.

შეზღუდული შესაძლებლობების შემთხვევაშიც მწვავე პრობლემად მშობლების დაბალი ინფორმირებულობასთან ერთად საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმა და არასწორი შეხედულებები იკვეთება, რასაც ემატება განათლებასა და სოციალურ დაცვაზე ხლმისაწვდომობა.

## 4.4.3 განათლებაზე ხელმისაწვდომობა

მნიშნელოვან გამოწვევად გამოიკვეთა სოფლებში ბაღებისა (მაგალითად, სოფელი დავითიანი ხუთი წელია ითხოვს ბაღს) და ქართულენოვანი სკოლების სიმწირე. იქაც კი სადაც მოწყობილია საბავშვო ბაღი, ის არ არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და ვერ უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. ქართულენოვანი სკოლა კი, რომელიც წინა წლებში გაიხნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელში, მალევე დაიხურა, რის მიზეზადად მოსწავლეთა სიმწირე დასახელდა.

განათლების მიღების პრობლემურ საკითხებს შორის დასახელდა სოფლებში გზების გაუმართაობა, რაც ურთულებს ბავშვებს სკოლამდე მისვლას. ასევე დამატებით არასასკოლო წრეების/აქტივობების ნაკლებობა განვითარების ნაკლებ შესაძლებლობას აძლევს სოფლად მცხოვრებ ბავშვებს. კვლევის ყველა მონაწილე წუხს ლაგოდეხსა და სოფლებში ბავშვებისათვის სპორტული და არასასკოლო საგანმანათლებლო აქტივობების ნაკლებობაზე. ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის არ მოიძებნება რაიმე სივრცე, სადაც შეკრების, აზრებისა და ინფორმაციის გაზიარების საშუალება ექნებოდათ. სწორედ ამიტომ მათი რეკომენდაციების დიდი ნაწილი სწორედ ბავშვთა განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას ეხება.

„სკოლაში ფეხით დავდივარ და ეს ერთ-ერთი პრობლემაა. გზები არაა კარგი. სპორტის არაფერი სახეობაა არაა. ცეკვაზე სიარული რომ გინდოდეს არაა“.

*ბავშვი, 16 წლის*

„გართობა რომ უნდოდეთ კლუბი არაა, ადგილი არაა. ექსკურსიაზეც ვერ დადიან ბავშვები“. *მშობელი*

აღინიშნა ისიც, რომ მაგალითად სოფელ კაბალში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ბავშვები ნაკლებად არიან ინტეგრირებულნი, ბავშვებმა არ იციან ქართული, ხოლო მასწავლებლებმა აზერბაიჯანული. დადიან სკოლაში, თუმცა სწავლების შინაარსი გაურკვეველია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ გაიზარდა მოთხოვნა ქართულენოვან მასწავლებელზე ბაღში. სადაც ერთი მასწავლებელია, რომელსაც ჯგუფში 60 ბავშვი ჰყავს. კვლევის მონაწილე სკოლის პედაგოგები დადებითად აფასებენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, რომელიც დღეს უფრო ნაკლები პრობლემაა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. ეთნიკური უმცირესობების მშობლები მეტად მზად არიან ბავშვები ჩართონ სხვადასხვა აქტივობებში, გაუშვან ბანაკებში და ტრენინგებზე. მისასალმებელია ისიც, რომ ადგილობრივ დონეზე, კერძო სკოლების მიერ დაიწყო ინიციატივები, რაც როგორც ბავშვების, ისე ზრდასრულებისათვის ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებს.

ინკლუზიური განათლების კუთხით, საზიანო პრაქტიკად ჩამოყალიბდა სპეციალურ პედაგოგად ისეთი მასწავლებელების გადაყვანა, რომელსაც თავისი საგნის საათები შეუმცირდა. შესაბამისად, ისინი ყოველთვის არ არის აღჭურვილი საჭირო ცოდნითა და უნარებით, რაც აუცილებელია ამ ჯგუფთან სამუშაოდ. აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს სკოლების ეფექტიან საქმიანობას ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ამას ემატება ისიც, რომ სხვა ბავშვების მშობლები დიდ კეთილგანწყობას არ გამოხატავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. მასწავლებლები კი არ არიან მზად გაუმკლავდნენ მშობელთა ზეწოლას, რადგან ზოგჯერ, როგორც ზემოთაა მოცემული, თავადაც გავრცელებული სტერეოტიპების მატარებლები არიან.

„ტერმინი არის ხოლმე არასწორად აღქმული. ბევრი მშობელი არასწორად რეაგირებს. ინფორმაციის არქონაა მთავარი პრობლემა, დამოკიდებულებაა პრობლემა. არ იციან როგორ იურთიერთონ“.

*საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენელი*

განათლების ადგილობრივი რესურსცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციიდან იკვეთება, რომ 2017 წლის მონაცემებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სულ 6060 მოსწავლე ირიცხება, რომელთაგან 136 სპეციალური საჭიროების მქონეა. გამოთხოვილ ინფორმაციათა შორის არის, განთალების შეწყვეტის მიზეზები და სტატისტიკა, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომლის გამოც ბავშვები სკოლებს ტოვებენ ვერ იძლევა ანალიზის შესაძლებლობას.

**სასკოლო განათლების შეწყვეტის მიზეზები და სტატისტიკა**



# 5. სოციალური პროგრამები და მათი ეფექტიანობა ბავშთა დაცვის პრობლემებზე საპასუხოდ

## 5.1 ოჯახების და ბავშვების მხარდაჭერის არსებული სქემები ცენტრალურ დონეზე

ოჯახების მხარდაჭერისა და ბავშვთა დაცვის ძლიერი პროგრამები განსაზღვრავს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების პრევენციას. მიუხედავად ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში გატარებული პოლიტიკისა, უნდა აღინიშნოს რომ საქართველოში დღემდე მწირია პრევენციასა და ოჯახის გაძლიერებისაკენ მიმართული მომსახურებები, რაც რეფორმის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე არსებული მხარდაჭერის პროგრამები შეგვიძლია გავაერთიანოთ ორი ძირითადი კატეგორიის ქვეშ, როგორიცაა მატერიალური და არამატერიალური დამხარება.

<u>მატერიალური/ფულადი დახმარება:</u> სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს იმ სოციალური დახმარების სახეებს, რომელიც განკუთვნილია ზრუნვის საჭიროების მქონე პირთათვის, მათ შორის ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. კანონიდან გამომდინარე, ოჯახებს შეუძლიათ ისარგებლონ **საარსებო შემწეობით**, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებულ სარეიტინგო ქულაზე. ამასთანავე, **რეინტეგრაციის შემწეობა** ეძლევათ ოჯახებს, რომლებიც ალტერნატიული ზრუნვიდან ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას და ზრუნვის სისტემიდან გამოყვანას ახერხებენ. აღნიშნული დახმარებისათვის განკუთვნილია 90 ლარი ოდენობით ფულადი დახმარება ჯანმრთელი ბავშვის, ხოლო 130 ლარის ოდენობის დახმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ოჯახებისათვის (თითოეულ ბავშვზე). ფულადი დახმარების სახედ განიხილება **მინდობითი აღზრდაც**, რომლის დროსაც მინდობით აღმზრდელზე გაცემული ანაზღაურების ოდენობა განსხვავებულია ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში (400 და 600 ლარი). აღნიშნული ზრუნვის ფორმა ხელს უწყობს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფას. **კვების ვაუჩერი** გულისხმობს ხელოვნული საკვებით მიტოვების რისკის წინაში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფას 0-1 წლამდე პერიოდში. **კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება**, მოიცავს სიღატაკეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელ დახმარებას მათი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1000 ლარით.

<u>არამატერიალური/არაფულადი დახმარება:</u> სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების ჩამონათვალში მოცემულია იმ მომსახურებების ნუსხა, რომელიც მიზანშეწონილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიანი ოჯახებისა და ხანდაზმულებისათვის. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე ამ მომსახურებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

**დღის ცენტრები,** რაც ოჯახის მხარდამჭერი საშუალებაა და უზრუნველყოფს იმ ბავშვების მიღებას, რომელთა ოჯახებიც დღის განმავლობაში ვერ ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვას. დღის ცენტრები ფუნქციონირებს თბილისსა და რეგიონებში, როგორც ჯანმრთელი, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. **მცირე საოჯახო ტიპის სახლი** განკუთვნილია მშობლის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის და გულისხმობს მათ აღზრდას ოჯახთან მიახლოებულ გარემოში. მომსახურება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებული ან ჩასარიცხი 6-18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვისაა, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მინდობით აღზრდაში გადაყვანა ან შვილად აყვანა ვერ ხორციელდება. **დედათა და ბავშვთა თავშესაფრით** უზრუნველყოფის მიზანია ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბიოლოგიური ოჯახის მხარდაჭერა. პროგრამა განკუთვნილია 10 წლამდე ბავშვების დედებისათვის და ორსულებისათვის, მიეწოდება მაშინ, როდესაც ბავშვი მიტოვების რისკის წინაშეა. **ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის** ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის ან შშმ ბავშვების განვითარების სტიმულირება, ინტეგრაციის ხელშეწყობა და ოჯახის გაძლიერება, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის მიტოვების პრევენციას. სერვისი მოიცავს სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურებას ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. **რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის** მიზანია ბავშვთა ფიზიკური მდგომარეობის, ადაპტაციის უნარების გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. მომსახურება გულისხმობს ჩარევას ინტერდისციპლინარული გუნდის (დაკომპლექტებული სხვადასხვა სპეციალისტებით) მიერ.

რაც შეეხება თვითმართველობით ორგანოებს, მათი საქმიანობა დარეგულირებულია ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით. მუნიციპალიტეტების დონეზე არსებულ მომსახურებებს, ძირითადად აქვთ მატერიალური სახე. დახმარების ტიპები განსხვავებულია თვითმართველობის ორგანოების მიხედვით, თუმცა ზოგადი მიდგომით, სერვისის მიწოდება და ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება ქალაქში/რაიონში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ახალშობილებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, უსახლკაროებსა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე მაცხოვრებლებზე. ამასთანავე, ძირითადი თანხები აკუმულირდება **ერთჯერად ფულად დახმარებებში**, რომლებიც გაიცემა კრისიზულ მდგომარეობაში მყოფი, სიღარიბეში მცხოვრები პირებისა და ოჯახებისათვის. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული მომსახურება მოიცავს **ფულად დახმარებას** მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. **შეღავათებს კომუნალურ მომსახურებას და ყოველთვიურ დახმარებას** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. გარდა აღნიშნული სერვისისა, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები გასცემენ ჯანმრთელობის დაცვის კუთხით დახმარებებს, როგორც ფულადი სახით, ისე მედიკამენტების დაფინანსების გზით. ასევე, მათ ბაზაზე ფუნქციონირებს უფასო სასადილოები, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ სოციალურად დაუცველ და საჭიროების მქონე პირებს, მათ შორის ბავშვიან ოჯახებსაც. გაწეული მომსახურებების მრავალფეროვნება და სახეები დამოკიდებულია ქალაქის/რაიონის მოსახლეობის რაოდენობაზე და ადგილობრივ შემოსავალზე. დიდი ქალაქებში სერვისი უფრო მრავალფეროვანია, სხვაგან კი მწირი.

## 5. 1.1 ოჯახების და ბავშვების მხარდაჭერის არსებული სქემები ადგილობრივ დონეზე

ლაგოდეხში, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები პირებისთვის ხელმისაწვდომია ის მომსახურებები, რომლებიც თითქმის სტანდარტულია ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოში.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამის პრიორიტეტების მიხედვით, მნიშვნელოვანია აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების იმპლემენტაცია და სამედიცინო პროგრამების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ 2015-2017 წლის პროგრამების ჩამონათვალში (პროგრამები შინაარსში, მიზნობრიობაში) ცვლილებები არ შეინიშნება, განსხვავებულია მხოლოდ ბიუჯეტი. გრაფიკზე წლიურ ბიუჯეტთან ერთად მოცემულია უშუალოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებებზე გამოყოფილი ხარჯები, რომელიც გაზრდილია 2015 წელთან შედარებით, თუმცა შემცირებულია 2017 წლის ბიუჯეტით, მაშინ როდესაც მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტი მანამდე არსებულზე გაცილებით მაღალია.




პროგრამების ანალიზისას, იკვეთება რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ უშუალოდ ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერად, რაც უმეტესად ფულადი დახმარების მიცემაში გამოიხატება. აქვე აუცილებელია ვახსენოთ ჯანმრთელობის დაცვისაკენ მიმართული მომსახურებები, რომლებიც საჭიროების მქონე მოქალაქეების და მათ შორის ბავშვებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

| დასახელება | ქვეკატეგორია | მიზანი | ოდენობა | გაცემის პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|
| სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება: | | | | |
| ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვების ოჯახები | ჰყავს ერთი  და მეტი არასრულწლოვანი შვილი | ელექტრო ენერგიის საფასური | 8 ლარი | ყოველთვიური |
| | ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი შვილი | | 12 ლარი | |
| მარტოხელა მშობლის დახმარება | ჰყავს ერთი  და მეტი არასრულწლოვანი შვილი | ელექტრო ენერგიის საფასური | 8 ლარი | ყოველთვიური |
| | ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი შვილი | | 12 ლარი | |
| უდედმამო ბავშვთა ოჯახი | არ არის | დამხარება | 50 ლარი | ყოველთვიური |
| გაუსაძლის პირობებში მცხოვრებ ან სტიქიის შედეგად  და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახები | არ არის | ბინის ქირა | 100 ლარი | ყოველთვიური |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ბავშვთა ფულადი დახმარება | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვიანი ოჯახები | ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი | ელექტრო ენერგიის საფასური | 8 ლარი | ყოველთვიური |
| | ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი შვილი | | 12 ლარი | |
| მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | | | | |
| მრავალშვილიანი ოჯახები | ჰყავთ 4 და მეტი შვილი | ფულადი დახმარება | 400 ლარი | წელიწადში ერთხელ |
| მრავალშვილიანი ოჯახები | ცხოვრობენ საშიშ და გაუსაძლის პირობებში | ფულადი დახმარება | 500 ლარი | წელიწადში ერთხელ |
| ახალდაბადებულ ბავშთა ოჯახები | გაიცემა პირველ და მეორე ბავშზე | ფულადი დახმარება | 200 ლარი | ერთჯერადი |

## მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა [16] 2017 წელი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებიდან გამოიყო კვლევისათვის საინტერესო კომპონენტები, ის დახმარებები, რომლებიც გაიცემა ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით. საერთო ჯამში რასაკვირველია, დადებითად უნდა მოხდეს იმ ძალისხმევის შეფასება, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სწევს მოსახლეობის მხარდასაჭერად, თუმცა აუცილებელია გადაიხედოს გაცემული დახმარებების პრიორიტეტულობა და ეფექტიანობა, რაც გამგეობას მისცემს შესაძლებლობას დაინახოს თუ რამდენად ეფექტიანი და შედეგიანია მის მიერ გაცემული ბენეფიტები. მაგალითად, ახალშობილის დაბადების შემთხვევაში გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომია პირველ და მეორე შვილზე, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ გავლენას ახდენდეს შობადობის მაჩენებელზე. როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხული სამედიცინო პერსონალი მიუთითებს, რაიონში დაბალია შობადობის მაჩვენებელი და მის მიერ მოშველიებული სტატისტიკის მიხედვით, 2017 წლის მდგომარეობით მხოლოდ 17 0-1 წლამდე ბავშვია აღრიცხვაზე, რაც წინა წლის იმავე პერიოდის მონაცემებათან შედარებით თითქმის ოთხჯერ ნაკლებია (2016 წელს 65). ეს და სხვა მსგავსი ტიპის ფულადი დახმარებები, რომელსაც არ ჰყავს გამოკვეთილი კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, ბუნდოვანს ხდის მიზნობრიობას. განსაკუთრებით იმ ფონზე რომ დინამიკა შობადობის მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

ანალიზიდან ირკვევა ისიც, რომ ყოველთვიურად გაცემული დახმარებები იმდენად მინიმალურია, ნაკლებად თუ გაწვდება ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას და/ან თუნდაც ელექტრო ენერგიის საფასურის დაფარვას. ხოლო არსებული ერთჯერადი დახმარებები, მათი სპეციფიკიდან, მოცულობიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს იმ პრობლემის გადაჭრას, რომელიც ამ ოჯახებს ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეთ და მხოლოდ იმ მომენტისთვის არსებული საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება.

გამოდის, რომ დანერგილი დახმარებები გარკვეულწილად არამიზნობრივია და ვერ ემსახურება იმ მიზნებს, რომელიც პროგრამას აქვს ლაგოდეხის რაიონში: უკეთესობისკენ შეიცვალოს სოციალური ფონი; გაიზარდოს დემოგრაფია; გაუმჯობესდეს ჯანდაცვა და შექმნას დახმარების მიმღებთა მონაცემთა ერთიანი ბაზა. ამასთანავე, აღსანიშნავია რომ ბენეფიტებით წლიდან წლამდე ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები და ოჯახები სარგებლობენ, რასაც თავად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

„ერთი ოჯახია სამი წელია ვურიცხავთ თანხას, მაგრამ ვერ მივაღწიეთ შედეგს“.

*ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი*

[16] წარმოდგენილია პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერაზეა მიმართული

## სოციალური მომსახურების სააგენტო

რაც შეეხება პროგრამებსა და დახმარებებს, რომელიც აქვს სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ დონეზე, ისინიც არ გამოირჩევიან უნიკალურობითა და თემის საჭიროებებზე მორგებულობით. კვლევის ფარგლებში მოპოვებული სტატისტიკური და თვისობრივი ანალიზიდან დგინდება, რომ სოციალური მომსახურებები უფრო მეტად მიმართულია მატერიალურ დახმარებაზე და ნაკლებად ხორციელდება ოჯახების გაძლიერება, მუშაობა ისეთ საკითხებზე, რომელიც კვლევის ფარგლებში, როგორც სოციალური პრობლემები ისე ჩამოყალიბდა. მაგალითად ლაგოდეხში არ არის დღის ცენტრი (არ იგულისხმებს დღის ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის), რომელიც ბავშვებზე ზრუნვას განახორციელდება იმ პერიოდში, როდესაც მშობლები მუშაობენ საოჯახოე მეურნეობებში/ბაღებში. აღნიშნული სერვისი მხოლოდ წნორშია ხელმისაწვდომი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ის მომსახურებები, რომელიც ოჯახების მხარდაჭერისა და ბავშვთა დაცვის კუთხით მიეწოდება მოსახლეობას ლაგოდეხის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ. ცხრილში ასახული ინფორმაციიდან ნათელია, რომ ძირითადი რესურსი იხარჯება მატერიალური ტიპის დახმარებებზე, მაშინ როდესაც ოჯახების გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია დამატებითი მხარდამჭერი სერვისების განვითარებაც და მხოლოდ ფულადი დახმარება ვერ გახდება იმის გარანტი, რომ ისინი სათანადოდ განახორციელებენ ზრუნვას ბავშვზე. ამასთანავე, ლაგოდეხშიც, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში გამოიკვეთა სოციალური დახმარების არათანაბრად გადანაწილებულობის საკითხი. მონაწილეების დაკვირვებით არიან ოჯახები, რომლებსაც მეტად უჭირთ და არ იღებენ დახმარებას და პირიქით. ეს მოსახლეობაში უსამართლობის განცდას იწვევს.

„შერჩევადობა ცუდადაა გაკეთებილი. ბევრი ოჯახია, ვისაც ძალიან უჭირს, ეკუთვნის დახმარება და არ აქვს. მაშინ როდა მათზე უკეთეს მდგომარეობაში მყოფებს აქვთ. ეს იწვევს ხალხის გაღიზიანებას და დიდ პრობლემას ვაწყდებით.

*ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი*

| მომსახურების ჩამონათვალი | მატერიალური მხარდაჭერა | არამატერიალური მხარდაჭერა | სტატისტიკა 2017 წელი |
|---|---|---|---|
| საარსებო შემწეობა | ■ | | 1417 ოჯახი . 2958 ბავშვი |
| კრიზისული დახმარება | ■ | | 21 მიმართვიდან<br>6 დაკმაყოფილებული |
| რეინტეგრაცია | ■ | | 7 ოჯახი / 14 ბავშვი |
| მინდობითი აღზრდა | ■ | | 40 ბავშვი |
| მცირე საოჯახო ტიპის სახლი | | ■ | 10 ბავშვი |
| დღის ცენტრი (შშმ ბავშვებისთვის) | | ■ | 17 ბავშვი |
| კვების ვაუჩერი | ■ | | 20 ბავშვი |
| ადრეული განვითარება | | ■ | 20 ბავშვი |

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებისა, სოციალური მუშაკების ჩართულობით ასევე ხორციელდება მეურვეობა/მზრუნველობის შემთხვევებზე მუშაობა, რომელთა სტატისტიკური მონაცემი 2017 წლის მდგომარეობით არასრულწლოვნის 23 შემთხვევას, ხოლო სრულწლოვანთა 101 შემთხვევას შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ძალიან დაბალია გაშვილების რაოდენობა და 1 შემთხვევა ფიქსირდება, ხოლო ოჯახური დავების 18 შემთხვევაზე უწევთ მუშაობა სოციალურ მუშაკებს.

### არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე არსებული მომსახურებები

ადგილობრივ დონეზე მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებსაც სოციალური მიმართულებით პროექტების განხორციელების გამოცდილება აქვთ. კვლევის დროისთვის, ჩართულ ორგანიზაციებს რამდენიმე მიმდინარე პროექტი ჰქონდათ, მათ შორის ზრდასრულთა განათლების, ქალთა როლის გაძლიერების, ბავშვთა უფლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიმართულებით. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა უმეტესწილად პროექტული ხასიათისაა და ძირითადად მოსახლეობის სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირებულობას ემსახურება, რაც თავის მხრივ უდაოდ მნიშვნელოვანია. თუმცა ისინი პირდაპირი სერვისების მიწოდების გზით, ნაკლებად მუშაობენ ბავშვებისა და ოჯახების ისეთი პრობლემების გადაჭრაზე, როგორიცაა სიღარიბე, ძალადობა, სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის პრევენცია და მსგავსი ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინასებით ორგანიზაცია „მადლი“ ავითარებს დღის ცენტრის მომსახურებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. არსებული მომსახურებების ანალიზიდან იკვეთება, რომ იმ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომელიც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს აქვს განხორციელებული და მიმდინარე პროექტები არასაკმარისია და ვერ ფარავს წინამდებარე კვლევის შედეგად გამოკვეთილ საჭიროებებს სრულად, თუმცა კარგი წინაპირობაა, სამომავლოდ მათზე დაშენდეს კონკრეტული პროექტები/ინიციატივები, რომელსაც ექნება მცდელობა შეავსოს თემის საჭიროებები ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის კუთხით.

## 5. 1.2 სოციალური მუშაობის, როგორც მომსახურების პრაქტიკა და გამოწვევები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დასაქმებულია  სულ 3 სოციალური მუშაკი, რომლებიც მრავალმხრივი მიმართულებით მუშაობენ, ისევე როგორც სხვა ქალაქებსა და რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ თავად სოციალური მუშაკები შემთხვევათა რაოდენობას არ განიხილავენ, როგორც მაღალს, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, რომ  მაღალია შემთხვევათა რაოდენობა სოციალური მუშაკისათვის. მიმდინარე წლის განმავლობაში შემთხვევათა რაოდენობა თითოეულ სოციალურ მუშაკზე მერყეობდა 33-დან 44-მდე, რასაც ემატება ის შემთხვევები, რომლებზეც წარმოებს მხოლოდ მონიტორინგი. თითოეული სოციალური მუშაკისთვის დასამონიტორინგებელ შემთხვევათა რაოდენობა 33-დან 63-ია, რაც საერთო ჯამში დიდი მოცულობის საქმეს გულისხმობს და ასუსტებს სოციალური მუშაკის განმანათლებლის, ადვოკატისა და დამაკავშირებელის როლს, რადგან სოციალური მუშაკების რაოდენობა ამ მოცულობის საქმისათვის  არასაკმარისია. ამასთან, სოციალური სამუშაო ხორციელდება რეაქტიული სახით, მომსახურება მიწოდება მას ვინც მიმართვას და/ან ვიზეც განხორციელდება მიმართვა მესამე მხარის მიერ.

„ბევრი ბავშვის რჩება პროგრამის გარეთ. ბევრი ვინც არ ვიცით, რადგან არ მოუმართავთ“

*სოციალური მუშაკი*

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები რა მიმართულებითაც გასაძლიერებელია სოციალური მუშაკის როლი. ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გაყვანა და ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოციალური სამსახური ყველა რესურს ამოწურავს ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების, რადგან მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვის გადაყვანის ძირითად საფუძვლად  სიღარიბის განხილვა ეჭვქვეშ აყენებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. მნიშვნელოვანია გაძლიერებულ იქნას სოციალური მუშაკის როლი პრევენციული სერვისების მიწოდების კუთხით.  შემთხვევათა რაოდენობა და დანერგილი მომსახურებები აძლევდეს იმის საშუალებას, რომ იმუშაოს ინდივიდუალურად მშობლებთან, მათი მშობლობის უნარების განვითარებაზე, აამაღლოს ცნობიერება აღზრდის რელევანტურ მეთოდებსა და ისეთ სოციალურ უნარებზე, როგორიც მაგალითად  ოჯახის დაგეგმარება, ბიუჯეტის განკარგვაა და სხვაა. ამავდროულად მეტი რესურსი უნდა დაიხარჯოს  სოციალური მუშაკის, როგორც მხარდამჭერი რგოლის წინ წამოწევაზე, ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გამოკვეთისა და მათზე რეაგირების კუთხით. აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციული მექანიზმების შემუშავებასა და განვითარებაზე. სოციალური სამსახურის როლი მხოლოდ დამდგარ შემთხვევებზე რეაგირებით არ უნდა იქნეს შემოფარგლული.

სოციალურ მუშაკს წამყვანი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ისეთი საკითხების დღის წესრიგში დაყენებაში, როგორიც ბავშვთა შრომა და ბულინგია, რადგან თითოეულ ამ თემასთან მიმართებით, კვლევიდან გამოვლინდა რომ ძალიან დაბალია ინფორმირებულობის მაჩვენებელი და შემთხვევებზე არ ხდება სათანადო რეაგირება, მაშინ როდესაც სოციალური სამსახურის როლი ბავშვთა დაცვაა. საჭირო გახდება სოციალური მუშაკის სამუშაო დატვირთვის, შესასრულებელი ვალდებულებების გადახედვა და განახლებული პრიორიტეტების დასახვა, რათა პროფესიამ არ დაკარგოს ძირითადი მანდატი.

აუცილებელია აქვე განხილულ იქნას ის სირთულეები, რომელთა გადაჭრაც დაეხმარებოდა სოციალური სამსახურისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერებას ქვეყანაში და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივ სამსახურებში. სამუშაო დატვირთვასთან ერთად, პროფესიული მოვალეობების შესრულებაში სოციალურ მუშაკს ხელს უშლის ისეთი ადმინისტრაციულ ტექნიკური საკითხები, როგორიც ტრანსპორტირების პრობლემა და სხვა ბიუროკრატიული საქმიანობის შესრულებაა, რაზეც ვრცლად არის საუბარი 2011 წელს განხორციელებულ სოციალური მუშაობის სიტუაციურ ანალიზშიც (სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011). უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა დაცვის მიმართულებით გასაძლიერებელია ფსიქოლოგის, როგორც დამხმარე სერვისის როლიც, რადგან მხოლოდ 1 ფსიქოლოგი რეგიონში, და არა რაიონულ დონეზე, თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მუშაობას შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვებსა და მშობლებთან. ამ ეტაპზე ფსიქოლოგის ჩართვა ხდება უკიდურეს შემთხვევებში და დატვირთვიდან გამომდინარე იშვიათად ახერხებს ლაგოდეხში ვიზიტს. გასათვალისიწინებელია ისიც, რომ პრევენციული მომსახურებების მიწოდებას სჭირდება იმაზე მეტი ადამიანური რესურსი, ვიდრე დღეს დასაქმებულია სოციალურ სამსახურში და მათი აღჭურვა შესაბამისი უნარებით, რათა ადრეულად მოხდეს რისკის შემცველი შემთხვევების იდენტიფიცირება, პრევენცია და რეაბილიტაცია. სოციალური მუშაკების საქმიანობას ართულებს იმ სამუშაოს შინაარსიც, რომელზეც ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ რეაგირება, რაც პროფესიული გადაწვისადმი მათ მაღალ მოწყვლადობას განაპირობებს. აუცილებელია გაძლიერებულ იქნას პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმები, რადგან ამ ეტაპზე სოციალურ მუშაკებს უჭირთ ნათლად ჩამოაყალიბონ თუ რას მოიცავს მათი პროფესიული ზედამხედველობა და ვინ არის განმახორციელებელი. ხშირად აღნიშნული საკითხი გაიგივებულია იმ პირებთან, რომლებსაც სოციალური მუშაკები დახმარებისა და რჩევის მიზნით მიმართავენ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას. ასეთი კი შეიძლება იყოს, როგორც უფროსი სოციალური მუშაკი, ისე განყოფილების უფროსი და იურისტიც კი, რაც მიანიშნებს ამ რგოლის ფუნქციის ბუნდოვანებაზე.

„განყოფილების უფროსი ყოველთვის გვერდში გვიდგას, ასევე განყოფილების იურისტიც. უფროს სოციალურ მუშაკთან ვრეკავთ და ვმსჯელობთ. თუ საჭიროა სამინისტროშიც. ფსიქოლოგი ერთადერთია რეგიონში და შემთხვევების რაოდენობას ვერ აუდის“.

*სოციალური მუშაკი*

## 5.2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების იმპლიმენტაცია თემის დონეზე

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტის განახლებული ვერსია 2016 წელს მომზადდა, რომლითაც განისაზღვრა, რომ მისი მიზანი ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობაა. დოკუმენტი ხაზს უსვამს სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხებზე.

მიუხედავად გაწერილი პროცედურების არსებობისა, კვლევის შედეგებიდან ნათელია, რომ ისეთი უწყებების წარმომადგენლებიც კი როგორიცაა სამედიცინო დაწესებულება, საბავშვო ბაღი, სკოლა და გამგეობა ნაკლებად რეაგირებენ ოჯახში და ბავშთა მიმართ ძალადობაზე. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, დღემდე არ განუხორცილებიათ ძალადობაზე რეფერირების შიდა პროცედურების მომზადება და პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.

გამოიკვეთა, რომ ძალადობის შემთვევებზე რეაგირების განუხორციელებლობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

⇒ მონაწილეთა გამოცდილებით, იმ შემთხვევებშიც, კი როდესაც მიმართა განხორციელებულა იშვიათად მომხდარა პრობლების ეფექტიანი გადაწყვეტა, რადგან ფაქტის წინაშე აღმოჩენილი ქალი/დედა ხშირად უარყოფს ძალადობის ფაქტს, ხოლო დამცავი ან შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ მოძალადე იგივე ქცევას განაგრძობს.

⇒ იკვეთება მოსახლეობის შიში მოძალადის მიმართ, რაც ხდება მიუმართაობის კიდევ ერთი საფუძველი. აღნიშნავენ, რომ შესაძლოა იცოდნენ ოჯახური ძალადობის შემთხვევები, თუმცა არ ახდენენ რეაგირებას, რადგან *„პატარა სოფელია, ქალაქია“* და ეშიანიათ, რომ მოძალადე მათ მიმართაც განახორციელებს ძალადობრივ ქცევას. სამწუხაროა, რომ მსგავსი დამოკიდებულება უფრო მეტად იკვეთება ბაღისა და სკოლების თანამშრომელთა მხრიდან, რომელთა როლიც ძალიან დიდია ძალადობის შემთხვების აღმოჩენასა და პრევენციაში.

⇒ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს არ აქვთ ადეკვატური დამოკიდებულება ოჯახური ძალადობის შემთხვევების მიმართ. მომხდარს სუბიექტურად განიხილავენ და ადგილზე გადაწყვეტილებას პირადი ფაქტორებისა და შეხედულებების გათვალისწინებით იღებენ. მათი დამოკიდებულება, რომ *„საცემი ქალი უნდა იცემოს“* მიუთითებს თამაშრომელთა კომპეტენციის ნაკლებობაზე საკითხთან დაკავშირებით.

⇒ მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებს ყოველდღიურად აქვთ ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის

უამრავი მაგალითი, თავად მიმართვას არ ახორციელებენ სოციალური სამსახურისადმი, რადგან არ აქვთ განცდა, რომ ეს მათი მოვალეობაა.

⇒ კვლევის მონაწილეებს აქვთ მოლოდინი, რომ მათი სამსახურის ხელმძღვანელობა უნდა ახორციელებდეს კონკრეტული მითითებების მიცემას თუ რა დროს უნდა მოახდინონ ძალადობის შემთხვევაზე რეაგირება და ასევე მუდმივად უნდა ხდებოდეს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ მათი ინფორმირება და გადამზადება. ხოლო მანამ სანამ, მსგავსი მითითება და გადამზადება არ აქვთ გავლილი, ფიქრობენ, რომ არ აქვთ რეაგირების ვალდებულებაც.

⇒ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო ორგანოების წარმომადგენლები მიმართავენ სიტყვიერ ჩარევას მათსავე დონეზე და არ მიყვებიან გაწერილ პროცედურებს. როგორც ოჯახის ექიმი გვიზიარებს, მიუხედავად იმისა რომ აქვს რეფერირების დოკუმენტიც და ძალადობის პრაქტიკული მაგალითებიც, მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში შეიძლება ჩართოს ბავშვზე ზრუნვის სამსახური. ძირითადად, კი ცდილობს თავად განუმარტოს მშობელს ამგვარი ქცევის საზიანო შედეგები. მსგავსი მიდგომა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პრობლემის აღმოფხვრას და ან შემცირებას.

⇒ ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს შემთხვევებზე რეაგირების ნაკლებობას. კვლევიდან გამოკვეთილ ისეთ საკითხებზე საზოგადოების დამოკიდებულება, როგორც ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა, ბავშვთა შრომა, ბულინგი და ადრეული ქორწინებაა შემაშფოთებელია, რადგან თითოეული მათგანი ამ თემისთვის ნორმად განიხილება და პრობლემები არ აღიქმება, როგორც ბავშვისათვის საზიანო ქცევა. პირიქით, არსებული სოციალური და კულტურული ფაქტორები, მოსახლეობის დამოკიდებულებებთან ერთად ბავშვებს კიდევ უფრო მეტად რთულ ვითარებაში აყენებს და აძნელებს მათი დაცვის შესაძლებლობებს.

⇒ კანონმდებლობის სისუსტე და პრაქტიკაში განუხორციელებლობა მოსახლეობაში დაუცველობის განცდას აჩენს. შიში მოძალადის მიმართ, სწორედ სამართალდამცავების არასათანადო რეაგირების შედეგია. მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ძალადობის განმახორციელებლისთვის მისაწოდებელი სერვისების არ არსებობაც ერთ-ერთი ბარიერია მიმართვის განსახორციელებლად. ფაქტია, რომ რეფერირების გაწერილი პროცედურების მიუხედავად, მასში ჩართული მხარეები არ მიმართავენ პრობლემის მოგვარების სამართლებრივ გზებს, რადგან უკვე არსებული მაგალითები პოზიტიურ ცვლილებებს ვერ აჩვენებს.

## 5.3 თანამშრომლობის პრაქტიკა უწყებებს შორის ადგილობრივი თემის დონეზე

ადგილობრივ დონეზე მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერება შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისთვის. იმ სოციალური პრობლემების ფონზე, რომელთა გამოკვეთაც მოხდა კვლევის ფარგლებში აუცილებელია ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე ყველა მხარის კოორდინირებული მუშაობა.

კვლევის შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ თანაშრომლობის დადებითი გამოცდილება არსებობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ არსებული ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები არასაკმარისია და ცდილობენ ერთ სამსახურში არსებული რესურსებით მეორე სამსახურის მომსახურების შევსებას. რათქმაუნდა არის ოჯახების მხარდაჭერის პოზიტიური მაგალითებიც, როდესაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და სოციალური სამსახურის ძალისხმევის შედეგად მოხდა ბავშვისა და ოჯახის თავშესაფრით უზრუნველყოფა.

ამასთანავე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურში დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმად ფუნქციონირებს „ვორქნეტის“ პროგრამა. პროგრამაში ხდება მსურველთა დარეგისტრირება, თუმცა მომდევნო ეტაპზე, პრაქტიკაში ფაქტიურად ვერ ხორციელდება ვინმეს დასაქმება. ამ მხრივ, დახმარების ძირითად გზად გამგეობასთან ბენეფიციართა გადამისამართება სახელდება. ეს უკანასკნელი კი თავისმხრივ, ცდილობს მოსახლეობას დაეხმაროს საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაში, რაც აუცილებლად დასაქმების ხელშეწყობას არ გულისხმობს და ძირითადად ერთჯერადი მატერიელური სახის დახმარებით შემოიფარგლება, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითები არსებობს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ განცდა, რომ გამგეობა აქტიურად რთავთ პროგრამების განხორციელებაში, საერთო სურათით იკვეთება რომ თანამშრომლობა გამყარებული რაიმე სამართლებრივი/ფორმალური საფუძველით არ არის. ქართული კონტესტიდან გამომდინარე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიც არ არის გამონაკლისი და აქაც თანამშრომლობის კუთხით წამყვან როლს პირადი კონტაქტები და ურთიერთობები თამაშობს. გამომდინარე იქიდან, რომ რაიონი საკმაოდ პატარაა და მხარეები ერთმანეთს კარგად იცნობენ, ეს აძლევთ საშუალებას საჭიროების არსებობის შემთხვევაში დახმარების მიზნით მიმართონ მეორე მხარეს. რათქმაუნდა ურთიერთთანამშრომლობა მისასალმებელია, თუმცა აუცილებელია იმ შედეგების გათვალისწინებაც რაც პირადი კონტაქტების საფუძველზე პრობლემების გადაჭრას შეიძლება ჰქონდეს. მიუხედავად სამსახურების დიდი სურვილისა დაეხმარნონ ბავშვებსა და ოჯახებს, არსებული რესურსები ამოწურვადია, ხოლო თანაშრომლობის ამგვარი პრაქტიკა სამართლიან მიდგომას ყველა ბენეფიციარის მიმართ ვერ უზრუნველყოფს.

# 6. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

## 6.1. ძირითადი მიგნებები

**ბავშვთა დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები:** **სიღარიბე** წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა დაცვასა და ოჯახების ცხოვრების ხარისხზე. ლაგოდეხის რაიონში არსებული დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები, ოჯახებს იძულებულს ხდის ჩაერთონ სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში და მიიღონ სახელმწიფოსაგან ფულადი დახმარება, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ხდება. ამასთან, **სიღარიბე, კვლავ რჩება ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან დაშორების საფუძველი და სახელმწიფო მზრუნველობაში მათი შენარჩუნების მიზეზი,** მიუხედავად ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის გაცხადებული პრიორიტეტებისა.

**ძალადობა ბავშვთა მიმართ** აქტუალური პრობლემაა და ხორციელდება, როგორც ოჯახში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იკვეთება, რომ განსხვავებულად ხდება ძალადობრივი ქმედების შეფასება და განმახორციელებლის ჭრილში ძალადობად კლასიფიცირება ოჯახის წევრთა მიერ. მიუხედავას იმისა, რომ **ბულინგის** შემთხვევები რაიონში ხშირია, ძალიან სუსტია სკოლისა და სხვა უწყებების როლი, როგორც პრობლემის პევენციის, ისე შემდგომი რეაგირების კუთხით. ბავშვები დამამცირებელ და ძალადობრივ მოპყრობას თანატოლებისაგან, როგორც ნორმას ისე აღიქვამენ და გამჟღავნების შემთხვევაში ნაკლებად გძნობენ მხარდაჭერას. **ბავშვთა შრომა** ლაგოდეხის რაიონისთვის ნორმირებული პრაქტიკაა და ხდება მისი განმტკიცება როგორც ოჯახის, ასევე სკოლის მიერ. მინიმალური ასაკი ბავშვთა შრომისა 5-6 წელია, ხოლო უმეტესად 10-14 წლის ასაკიდან ფიქსირდება აქტიურად ბავშვების შრომით საქმიანობაში ჩაბმა. მოზარდებს უწევთ როგორც საოჯახო საქმეების შესრულება, ისე დღიურად დაქირავებულ მუშად მუშაობა. მათი შრომითი საქმიანობის სახეები განსხვავებულია და აერთიანებს, როგორც შინამეურნეობებში მუშაობას, ისე ტყეში შეშის შეგროვებას, ცხოველების მწყემსვასა და სათბურებში დასაქმებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვთა შრომაში ნებისმიერი ბავშვი შეიძლება ჩაერთოს განურჩევლად მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა და ეთნიკური კუთვნილებისა. **ადრეული ქორწინება** მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ იკლო შემთხვევათა რაოდენობამ, თუმცა არსებული სამართლებრივი რეგულაცია საკმარისად ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციას. შემთხვევათა მაჩვენებელს თემის კულტურული და ეკონომიკური მოცემულობა უწყობს ხელს. ასევე, აღსანიშნავია რომ საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობს **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების** საჭიროებებს. სკოლასა და საბავშვო ბაღში არ არიან შესაბამისი ცოდნისაა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. ამასთანავე, სხვა ბავშვების, მათი მშობლებისა და საზოგადოების დამოკიდებულებაც დისკრიმინაციულია.

**თემის ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთან მიმართებით ლიმიტირებულია ცოდნა თემში. მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგების, რისკების, ბავშვთა შრომის საზიანო პრაქტიკის, ადრეულ ქორწინებისა და ბულინგის თაობაზე. **აღზრდის მეთოდები და მშობლობის უნარ-ჩვევები** მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებთან. ირკვევა, რომ მშობლებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ეფექტური აღზრდის მეთოდებისა და მიდგომების შესახებ. საერთო ჯამში კი ნაკლებად არიან ჩართული შვილების სოციალურ ცხოვრებაში.

**რეფერალის პროცედურების იმპლიმენტაცია** ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად იკვეთება ლაგოდეხის თემისთვის, ნაკლებად გვხვდება ძალადობის რეფერირების პროცედურების მიხედვით გაწერილი ვალდებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია. ჩართულ სუბიექტებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი გადამზადება, რომელიც დაეხმარებოდა მათ ვალდებულებების აღსრულებაში. ამავდროულად, სამსახურების უმრავლესობას არ გააჩნია შიდა გაწერილი პროცედურები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის. **თანამშრომლობის პრაქტიკა უწყებებს შორის** არაკოორდინირებული და გაუმართავია. იგი უფრო გამყარებულია პირადი ურთიერთობებით, ვიდრე სამართლებრივი რეგულაციებით. ცალსახაა, რომ ძალადობის რეფერირებაბაზე პასუხისმგებელი უწყებები ნაკლებად ახერხებენ ეფექტიანი რეაგირების წარმოებასა და გამკლავებას. იკვეთება, რომ ბავშთა დაცვა და კეთილდღეობა მხოლოდ ერთი უწყების, სოციალური მომსახურების სააგენტოს, პასუხისმგებლობად არის გაგებული.

**პრევენციული და მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა** - იმ ფონზე რომ ქვეყნის მასშტაბით, პრევენციული და მხარდამჭერი მომსახურებები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, სამწუხაროდ, არც ლაგოდეხის რეგიონი აღმოჩნდა გამონაკლი ამ თვალსაზრისით. სახელმწიფო ამ თემშიც რეაქტიული პოლიტიკის გამტარად გვევლინება. ლაგოდეხის რაიონში მწირია ოჯახის დახმარების სქემები და იგი მოიცავს მხოლოდ ცენტრაული ხელისფულების მიერ მიწოდებულ რამდენიმე დახმარებას, ასევე ადგილობრივი თვითთმმართველობის მატერიალური სახის მინიმალურ დახმარებებს. გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ ხდება მათი შემუშავება საჭიროებების კვლევების შედეგად. ფაქტიურად, არ არსებობს არსებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი. მომსახურების თვალსაზრისით, ერთადერთი მომსახურება, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა თანადაფინასებით აფინანსებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრია. ფუნდამენტურია **სოციალური მუშაკის როლი** ყველა იმ სოციალური პრობლემის პრევენციასა და გადაჭრაში, რომლის წინაშეც დღეს ბავშვები და მათი ოჯახები დგანან. ამ ეტაპზე მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა, სოციალური მუშაკის გაზრდილი ვალდებულებები, სამუშაოს დატვირთა და პირობები, საფრთხეს უქმნის მათი მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრაქტიკაში განხორციელებას. ამასთან, თემის დონეზე, მხოლოდ ერთი უწყება არის დამსაქმებელი სოციალური მუშაკისა, მაშინ როცა სოციალური მუშაობის განხორციელების მნიშვნელოვნება იკვეთება არაერთი უწყების საქმიანობის ფარგლებში.

## 6.2. რეკომენდაციები

ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისათვის გარემოს გაუმჯობესებლად, ბავშვზე ძალადობისა და სახელმწიფო მზრუნველობაში ბავშვების სიღარიბის მიზეზით განთავსების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რეკომენდაციები განისაზღვრა შემდეგ ძირითად კატეგორიებად: კვლევა და მონაცემთა შეგროვება; კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება; უწყებათაშორისი და სექტორული თანამშრომლობის გაძლიერება; პრევენციული და სარეაბილიტაციო პროგრამების/მომსახურებების განვითარება; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

### *6.2.1. კვლევა და მონაცემთა შეგროვება:*

- განხორციელდეს ეროვნული კვლევა, კვლევის შერეული მეთოდების გამოყენებით, რომელიც შეისწავლის ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ უახლეს ტენდეციებს, მათ შორის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტის პრაქტიკაში იმპლიმენტაციას, მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- განხორციელდეს სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის მაღალი რისკის ჯგუფების სეგემენტაცია და თავისებურებების სიღრმისეული შესწავლა, რათა საჭიროებებზე დაფუძნებით იქნას მომზადებული რეკომენდაციები;
- საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა ოჯახის მხარდამჭერი თემზე დაფუძნებული მომსახურებების კუთხით და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული შესაბამისი მომსახურებების განვითარების ინიცირება;
- შეიქმნას განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის რაონდენობრივი მონაცემების დროულ დამუშავებას.

### *6.2.2. კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმები:*

- გაიმართოს საქართველოს საკანომდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს ბავშვთა შრომის საკითხებს და გააუმჯობესებას აღსრულების მექანიზმებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციის „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყონებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“;
- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესრულებას პასუხისმგებელი უწყებების (ჩართული სუქბიექტების) მხრიდან;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერალის) დოკუმენტით გაფართოვდეს/გაძლიერდეს ჩართული სუბიქტების პასუხისმგებლობა პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით.
- უზრუნველყოფილ იქნას გაიდლაინებისა და შიდა ინსტრუქციების მომზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიქტების

მიერ, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობა/მერია, ბაღების გაერთიანება, სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიერ;

**6.2.3. უწყებათაშორისი და სექტორული თანამშრომლობა:**

- როგორც ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმის გაწერა და სისტემური დიალოგის ხელშეწყობა ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების მიზნით; თანამშრომლობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს რეაქტიული პოლტიკიდან გადასვლა პრევენცული პოლიტიკაზე და პასუხისმგებლობების გადანაწილების ნათელი სქემის შექმნა.
- პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მომსახურების მიმწოდებელთა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ბავშვების მონაწილეობითი ჩართულობა.

**6.2.4. პროგრამებისა და მომსახურებების განვითარება:**

*6.2.4.1. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და ბავშვზე ზრუნვის სამსახურის გაძლიერება:*

- სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება, რაც მოიაზრებს მათთვის ადეკვატურ სამუშაო დატვირთვას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემას, ასევე, მათ უწყვეტ პორფესიულ განათლებას როგორც პრევენციული, ასევე სარეაბილიტაციო მიმართულებით ეფექტიანი სამუშაოს განხორციელების მიზნით;
- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოების ტერიტორიული ერთეულებში, რაიონულ დონეზე, ფსიქოლოგის მომსახურების ინტეგრაციას;

6.2.4.2. *პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი არსებული დახმარებების/მომსახურებების გაუმჯობესება. მათ შორის:*

- ოჯახის მხარდამჭერი მონეტარული სახის დახმარებების (სოციალური დახმარება, რეინტეგრაციის შემწეობა) ზრდა სიღარიბესა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის; ამასთანავე, უნდა გადაიხედოს მონეტარული დახმარების არსებული სქემა და ოჯახებისთვის შეთავაზებულ უნდა იქნას მხარდაჭერის ისეთი მოდელები, რომელიც სტატუსქვოს შენარჩუნების ნაცვლად, წაახალისებს მათ შრომის ბაზარზე ჩართულობას და ეკონომიკურ აქტივობას;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

*6.2.4.3 პრევენციული ღონისძიებებისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარება ადგილობრივი თემის დონეზე. მათ შორის:*

- ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სამსახურის და ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლების გაძლიერება მათ თემში მოწყლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების იდენტიფიცრების მიზნით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სამსახურის გაძლიერება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდასაჭერად, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობაში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ინტეგრირების, თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარების, შემოსავლების გენერირებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშემწყობი პროგრამების დანერგვის გზით.
- სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულელებისა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმოამდგენელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დროული იდენტიფიცირებისთვის;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით, სკოლის სოციალური მუშაობის, ანტიბულინგური და ბავშვების სოციალური კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული პროგრამების განხორციელების გზით;
- თემზე დაფუძნებული მომსახურებების (მაგ. ბავშვთა მეგობრული ცენტრი; ოჯახის მხარდამჭერი ცენტრები) განვითარება;
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და მათი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მომსახურებების მათგან კონტრაქტის წესით შესყიდვის პრაქტიკის განვითარების გზით.

*6.2.4.4. სარეაბილიტაციო მომსახურებების განვითარება და დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესება:*

- ფსიქო-სარეაბილიტაციო მომსახურებების განვითარება როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის რეაბილიტაციისთვის;
- ალტერნატიული ზრუნვის ფორმებში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) მყოფი ბავშვების მდგომარეობის ზედამხედველობა ძალადობის კუთხით და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით;
- რეფერირების პროცედურებში ჩართული ყველა სუბიექტის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება და მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესება ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმცირესობათა ჯგუფებს მიკუთვნებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დაცვის საკითხებს.

*6.2.4.5. პროგრამების/მომსახურებების მონიტორინგი და შეფასება:*

- პრევენციული და სარეაბილიტაციო პროგრამები/მომსახურებები უნდა ეფუძნებოდეს კვლევით გამოვლენილ საჭიროებებს;
- მომსახურებების განვითარება უნდა განხორციელდეს საპილოტე რეჟიმში და შემდგომ უნდა დაინერგოს ის მომსახურებები, რომლის ეფექტურობაც დადასტურდება შესაბამისი შეფასებით;
- მონიტორინგის და შეფასების მიზანი, ხარისხის კონტროლთა ერთად, უნდა იყოს მომსახურების მიმწოდებლის მხარდაჭერა სერვისის გაუმჯობესების მიზნით.

**6.2.5. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება:**

- ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება ბავშვთა მიმართ ძალადობის, ბულინგის, ადრეული ქორწინებისა და ბავშვთა შრომის წინააღმდეგ, ამასთან, ბავშვის უფლებების პოპულარიზაციის, პოზიტიური მშობლობისა და პოზიტიური დისციპლინის მეთოდების შესახებ.

**ბიბლიოგრაფია:**

1. ბავშვთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა საქართველოში, UNICEF, 2015
2. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის  სისტემის შეფასება, სალომე ნამიჭეიშვილი, 2014
3. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016
4. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების შესახებ მეოთხე პერიოდულ ალტერნატიულ ანგარიში; საპარლამენტო ანგარიში 2016
5. ეკომიგრანტები და პოტენციური ეკომიგრანტები საქართველოში, ევროპის ფონდი, 2016
6. სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011
7. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა და პროგრამები, სალომე ნამიჭეიშვილი, 2015
8. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამა
9. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2017 წლის პროგრამა
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერიების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, 2016
11. A framework for the protection of children, UNHCR, 2012
12. EU guidelines for the promotion and protection of the rights of child, 2017
13. Child protection and welfare, practice handbook, Health Service Execute, 2011
14. Childre first: national guidance for the protection and welfare of children, 2011